წელიწადი პირველი. № 17. ფასი 20 კაპ.

განთიადი

ორკვირეული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

1 ნოემბერი 1915 წ.

შინაარსი:

1. ჩვენი დროის სურათები, გაგრძელება, გოგია ვინმესი.
2. ცოცხალი ზღაპარი და ციცინათელა, დ. თურდოსპირელისა.
3. ისევ ხითხითებს... ლექსი, ობოლი მუშისა.
4. სიყვარულის სხვერპლი, მ. რაჟველისა.
5. შურის ძიების სხვერპლნი, მოთხრობა, გ. ებრალიძისა.
6. გზაზე, ლექსი, ილ. გოგიასი.
7. „დამცემი", ამბავი, ობოლი მუშისა
8. შვების სხივი, ლექსი, ს. ტაიფუნისა.
9. ბიბლიოგრაფია, ხომლელისა.
10. პროვინციელის შენიშვნები, პროვინციელისა.
11. შენიშვნები, კირილე წუთისოფლელისა
12. „ვეფხის ტყაოსანი" რუსულად.
13. რუსეთის სოციალისტების მოწოდება.
14. მოკავშირეთა დიპლომატიის დამარცხება.
15. უხვი შემოწირულება.
16. ხალხის მტერი, თუ მოყვარენი? ელისა შავგულაძისა.

ჟუთაისი
სტამბა „ძმობა", ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„განთიად“-ზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ედირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თიოო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოტხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, კოწია გამყრელიძესთან, ბონში — გიგლა მებუკესთან, კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ამ მერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ტინტაძე.

განთიადი № 17.

1 ნოემბერი. 1915 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ჩვენი დროის სურათები*).

XXXVII.

ქართლი არი, თუ იმერეთია,
გასაოცარი ის არი, რომა,
საუკუნეზე აღუკვეთია
წარსულ ცხოვრების თავისი შრომა.
გაკვირვებს ყველგან გეგმა ციხისა,
გაკვირვებს ყველგან ტაძარი ძველი,
მისი თლილი ქვა, გუმბათი ვრცელი,
და კვლავ სიმტკიცე, არა თიხისა.
დგახარ იმისწინ ხშირათ მდუმარე
და ფიქრი მწველი გეხვევა გარე.

XXXVIII.

ვინ იყო მისი ამშენებელი?
ვინ იყო მეფე? ვინ იყო ხუროო?
წაშლილი არი წარწერა ძველი,
სდუმს ახვეული კედლებზე სუროო,
კარების თაღებს, სარკმელსა, თუ რას,
ჩუქურთმა ამკობს, ლამაზი დია,
გუმბათის ქვეშე ხშირათ ჩიდია
და თავდაყირა ძინავს ღამურას;
ძილს რა დაუფთხობს, თუ არ შემთხვევა,
ან—წელში ერთხელ—ღამისა თევა.

XXXIX.

ახ, ღამის თევა!.. დილა ადრიან
კაზმვას იწყებენ გოგუცანები,
და მთელ მაზრაში სიამით ხტიან
მოახნაურე სალახანები...
იქ ბიდის ყველა... ვურჩევ ყველასა,
წავიდეს, ნახოს ეს ტკბილი წამი,
თუ უნდა გულში გაუქრეს შხამი,
და მოწყდეს სევდის სახჩობელასა.
იქ ლოცვაც არი—სიტკბო სულისა,
და მორცხვი კრთომაც სიყვარულისა.

XL

ჩამოდის ღამე და უმიზეზო
ჩამოდის შვებაც ბინდის-ამარა,
ხალხით ივსება ტაძრისა ეზო
და ვარსკვლავებით—ცისა კამარა...
ჩარდახიანი ურმების რიგი
დგას, ხალიჩებით გამოწყობილი;
ტაძრისკენ არი თავ-დამხობილი,
თითქო მიწასა კოცნიდეს იგი
და ლოცულობდეს... ხოლო მის გარე
ღელვაა დიდი და შრომა ცხარე.

XLI

საღამისთვოთ ემზადებიან,
შლიან აქა-იქ ხალიჩებს, ხალებს,
ზოგან ხურჯუნსა ეზიდებიან,
ზოგან ტიკჭორას, ვინ შეიბრალებს?!
რა იქნებოდა სამშობლო მხარე,
ბლომათ კახური მას რომ არ ეშო?!
ურმის ქვეშ არი საპირფარეშო,
მოფარდაგული შიგნით და გარე,
და იქ ქალები, ეკაზმებიან,
სანამ სუფრასა მოუსხდებიან.

XLII.

სუფრა გაშლილი ხალიჩაზეა,
პური და ყველი, მწვანილი ბლომათ,
მუჰაქაც მისი სილამაზეა,
ყრია აქა-იქ ხელ-დასაყრდომათ.
მოუკეკიათ მუხლი და სხედან
ყმაწვილები და ტურფა ქალები,
ეშხითა კრთიან მათი თვალები,
ვით ვარსკვლავები—სუფრისა ზედან;
და ჭრიამული ლხენისა ცხადის,
გაშლილ სუფრაზე ცელქობს და დადის.

XLIII

არ იფიქროთ-კი, ნურც გეგონებათ,
რომ არ იცოდენ ზომიერება,

*) იხ. „განთიადი", № 16.

ნამუსი რჩება წმინდა ქონებათ,
სიტურფეთ-ჰორცხვი შვენიერება.
იწყება, მერე, ცეკვა—თამაში,
დაირა უცებ დაიკრიალებს,
ყმაწვილი ვინმე ხტის და ტრიალებს,
და საამური გაისმის ტაში.
მთვარე ღიმილით მიცურავს ცაზე
და მიწას ,კოცნის ცის სილამაზე...

XLIV

ეს ჟრიამული, ლხენა და ტაში,
ვარსკვლავების-ქვეშ ტურფა კამარის,
ეზო და ჩუმათ მძინარე მაში,
წარსულ გმირები სამშობლო მხარის,
მინდა ავწერო—მინდა ძალიან,
გადაგიშალოთ შვენება შორი;
მარა ახლოა ლამაზი გორი,
და ახლა მისთვის არა მცალიან:
გორი, მისივე ცნობილი ციხით,
გამომზირალი ძველებურ რიხით...

XLV

აქ მუზეუმი არ იპოვება,
არც ტაძარი რამ ხელობის ძვირის,
ხელსა არ უწყობს გარემოება,
თუმცა ლიახვი დღედაღამ ყვირის.
დროც გადავიდა—ძველს› მხნეობას
არა აქვს შარა ჩვეულებრივი;
გათქმული არის აქ უფრო კრივი,
და ჰიდაობა კვირა—დღეობას,
ადათი დღესაც, ხელ-უხლებელი,
მარა... მიქროლავს მატარებელი.

გოგია ვინმე.

(შემდეგი იქნება).

ცოცხალი ზღაპარი და ციცინათელა.

როგორ, როგორ მოხდა, რო მე, რომელიც ჯოჯოხეთს ვატარებდი გულში-საუცხოო, წარმტყვევნელ ედემათ გადამექცა იგი...

ვისმა ძალამ აღმიგზნო ჩ ამიჩუხჩუხა გულში სიყვარულის ალ-ნაკადული, როდესაც სიძულვილის ბალღამიც-კი ძლივს ჯონავდა მუნ-საცოდავათ...

ვინ, ვინ მოახდინა სასწაული?...

ვინ გადამქნა ესდენ საკვირველათ?...

დასავლეთისკენ ქვითინ-წყევით მსვლელი რათ მივისწრაფი აღმოსავლისკენ ლოცვა-კასკასით?!..

აგერ, შუქურამ პირველი კოცნა უძღვნა სიოს სარეცელზე თვალ-მილულულს წალკოტს და ჩაჩურჩულა: გაიღვიძე... გაიღვიძე, კეკლუცო... ოქრო ფთოვან რაშზე გდამჯდარი მოქრის შენი აშიკი—მზეჭაბუკი... გაიღვიძე მალე მისს შესახვედრათ, იგი მოქრის და მოაქვს თან სიყვარული დაუტევარი... გამოუთქმელი...

ეს ჩაჩურჩულა წალკოტს შუქურამ. მარა მე რა?... მე რათ ამიჩქროლდა გული?...

სახე ბწყინვალე რათ გავყურებ, აგერ, იმ ბილიკს, ჩემკენ მომავალს...

უჩვეულოთ აყუჩებული რათა ვწევარ ამ მტილზე და რათ ვტირი ნეტარ ცრემლებით?...

განა, ვის ველი ისეთ სანუკვარს?

. . . . . .

. . . . . .

იგი მოდის...
მოდის იგი და მოაბნევს
სიყვარულის სხივთა ყვავილებს...
მოდის იგი და...
როგორ, თუ იგი?...
რა ვქნა, ვინ იგი?.. ეს ხო სუმბული გაზდილა, ფრენა შეუსწავლია ჩ ის მოცქრიალებს ჩემკენ, ფრთა ცქვიტათ... იგი მოდის... ეს ხო ზღაპარი დაკარგული ედემის ზღაპარი გაცოცხლებულა და მოვლენილა ამ დუჰპირ ქვეყნის შესაეშხებლათ...

მოდის, მოკისკასობს იგი-ცოცხალი ზღაპარი... ედემის ლეგენდა...

მოდის იგი და მოციმციმე ვარსკვლავთა

ხომლნი წინ მოუძღვიან მოწიწებითა...

აგერ, ფრთოსნებიც მას დაედევნენ ჭიკ-ჭიკ-ნავარდით...

მაშ, მეც წავყვები მისით ტყვევნილი..

წავყვები მეცა. მარა ვაგლახმე... იმას ვარსკვლავნი ემონებიან და მე... ამ ციცქნა ციცინათელას, როგორ შემამჩნევს...

წავყვები მეცა და ვეტყვი ჰამნსა დიად ტრფობისას...ვაი, ვაგლახმე.. ვით მიმიხვდება, ოდეს ხმა ჩემი, ისე სუსტია, ვითარცა კვნესა მომაკვდავ ნისლთა...

. . . . . .

როგორ, როგორ მოხდა, რო მე, რომელიც ჯოჯოხეთს ვატარებდი გულში-საუცხოო ედემათ შემეცვალა იგი...

ვისმა ძალამ ამიჩუხჩუხა გულში სიყვარულის ალ-ნაკადული, როდესაც სიძულვილის ბალღამი-ღა სეონავდა მუნ საცოდავათ...

ვინ მოახდინა ეს სასწაული?...

ციცინათელას, ვით შემიყვარდა ზღაპარი უცხო... სხივოსან ვარსკვლავთ სათაყვანები?..

დ. თურდოსპირელი.

ისევ ხითხითებს.

ისევ ხითხითებს ბნელი ძალა, სულის მკოდველი...
ტანჯვის ზღვათ ღელავს, არ მასვენებს ფიქრები მწველი!
კვლავ ფრთებ-გაშლილი დანავარდობს ბოროტი სული,
კვნესის სიკეთის ანგელოზი ფრთებ-გაბასრული!
ძმობის ლამპარი ქრება, ძმებო, სხივებ-მთრთოლვარე,
და სისხლის ზღვა რწყაყს დედა-მიწას ტალღებ-მღელვარე!..
ჰა, გულს მწველ ისრათ გაეტარა დედის კვილი:
ყუმბარის ცეცხლში გაეხვია გოგონა ჩვილი!..
ძმა ძმის სისხლსა ღვრის, აღარ ინდობს გამხეცებული...
ისევ ხარხარებს ბნელი ძალა გამარჯვებული!...

ტანჯვის უშრეტ ცეცხლს რათ მიკიდებ, ჩემო ფიქრებო!
რათ არ მანებებ, გულის თრთოლვით, რო ვიოცნებო,
რო დრო დადგება ჩემი სატრფო მომეგლინება,
და ბოროტ სულსა სამარადოთ ჩაეძინება...
ეჰ, ფიქრო, ფიქრო, გულს რათ მიკლავ, თავს რათ დამჩხავი:
—ადამიანი ბოროტია, უნდო გულ-ზვავი!
ერთის სიცილს შობს ასის კვნესა, მოთქმა-ქვითინი;
შართალთ შხამს აფრქვევს ბოროტ სულთა გველებრ სისინი!
ფიქრო, გამშორდი, შავო ფიქრო, შავათ მღელვარო!
არ ძალგიძს, არა —შემაძულო მე ეს სამყარო!

ჰოი, იმედო, მოციმციმე აღთქმის ქვეყანავ!
შენ დამიყუჩე გულის კვნესა, ციურო ნანავ!
მომეც, გენაცვა, ძალა ძლევი, შეუდრეკელი,
რო კვლავ აღვმართო დროშა ხსნისა, ჩაგრულთ დამცველი,
და ძირს დავამხო ოქროს კერპი, სისხლის ზღვის მღვრელი,
ყოფნის ტაძარში ვაციმციმო ძმობის კანდელი!

ობოლი მუშა.

სიყვარულის სხვერპლი.

ღამეა.

ოდნავ ბჟუტავი სანათური მკრთალ შუქსა ფენს სატუსაღოს საავათმყოფო ვიწრო საკანს...

მძიმეთ დასცურავს „პარაშკის“ მყრალი სუნით შეზავებული ჰაერი და, გასავალს რო ვერა შოულობს, მრავალ საუკუნოებით მზის უნახავ ნესტიან კედლებსავე ადნება ცრემლათ. —ხხხხ... ხმა მისუსტებულათ ხვრინავს, უშნო ტილოს სამოსლით მოსილი, ხელ-ფეხ შებოჭილი და თივის საგებზე მწოლიარე ტყვე სანდრო. მისი ქორფა და ვაშკაცური, მარა ავათმყოფობისგან ძვალ ტყავათ ქცეული სახე, ჩალურჯებულ- ჩაცვინული თვალები, ახალ-დაშლილი შავი ულვაშები ამტკიცებენ მის სინორჩითვე ცხოვრებაზე მოწყვეტას...

* *
*

სიყვარულის სხვერპლია სანდრო... მის დაუძლეველ ზვირთებს გაატანა სიჭაბუკე, თავისუფლება და სხვაც...

სანდრო პატარა ბიჭი იყო მაშინ, სქესობრივი სიყვარულის ტალღები არა ფეთქდა ჯერ მის არსებაში, როდესაც მისმა ჩვილმა გულმა შეითვისა პატარა უმანკო მეგობარი, მისებ ჩვილი გოგონა... მიდორში, პირუტყვების მწყესობაში ატარებდენ სიყმაწვილეს, და მის თავისუფალ ბუნების წიაღში იზდებოდენ ორივე არსებანი.

ვით ძლიერ მოსიყვარულე პატარა და ძმა, განუყოფელი იყო მათი სული და გული, მწუხარება და სიხარული.

ჩვილი იყო და უმანკო მათი გული, ვით გაუშლელი ვარდის კვირტი. ცელქი იყო მათი სული, ვით დილის სიო; წმინდა იყო სიყვარული, ვით ცის ცრემლი, სანამ ბავშები იყვენ... მარა ნორჩნი გაიზარდენ... აქამდი ფერფლ-ქვეშ ოდნავ ბჟუტავი სხვა გძნობები გაღვივდა; სიყვარულმა იცვალა სახე და ეენთო უფრო ცხოვლათ...

...მალე გაუცხადეს ერთმანეთს თავიანთი გულის თქმა, რომ ესენი ცალ-ცალკე ვერ გაძლებენ. ამათი გამყრელი მხოლოთ სიკვდილი უნდა იქნეს... მარა, განა შვენიერება ერთს ხიბლავს და მეორეს-არა?!.

განა ყოველი ბუნების შვილის გულში არა ჩქეფს სიყვარულის დაუძლეველი ზვირთები და არ მიისწრაფვის ბუნებისგან შვენიერებათ დასახულ-მიზნისკენ?!.

და ნინოც, თუმცა სიღარიბეში აღზდილიყო, მარა ბუნებას მაინც შვენიერ არსებათ გაეჩინა იგი... —იმისი ვაზის ყლორტივით თოთო ტანი, ვარდის თაიგულივით გაფუჩქნილი სახე და შავ-წარბ-წამწამებით აფერადებული, ნაზი ცქრიალა თვალები, სანდროს გარდა, სხვასაცა ხიბლავდა. მარა ნინოს გული-კი სანდროს ეკუთნოდა...

გაუჩდა მეტოქე სანდროს...

ერთ უბედურ საღამო ხანს, ელვის სისწრაფით აიტაცა ნინო სოფლის შარა-გზიდან, სიცოცხლით სავსე, არწივისებურმა ჭაბუკმა, რომლის გულშიაც ღრმა ფესვი გაედგა ნინოსადმი სიყვარულს და მასთან შეუღლების სურვილს...

ჯერ კიდევ მარქაფა ცხენზე ვერ შეესვათ მას და მის თანამოაზრეთ ნინო, როდესაც გავარდა თოფი! ერთი შეტორტმანდა ჭაბუკი და დაეცა უსულოთ, სანდროს ტყვიით გაგმირული... სანდრომ დაიხსნა ნინო, მარა მოკლა კაცი!..

* *
*

დააპატიმრეს სანდრო...

„სიმართლის მაძიებლებმა“ გამოიძიეს საქმის შინაარსი და, მონათლეს იგი ანგარების მიზნით შვიდობიანი მგზავრის მკვლელათ...

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ძინავს სასო-მიხდილს და სინამდვილით გულ მოშხამულს, იმ იმედით, რომ უკანასკნელათ სიზმრით მაინც იხილავს თავს ბედნირათ, ნახავს თვის საწყალობელს, მარა ტკბილ სიყრმის ოჯახს; მოალერსე მშობლებს, იმ ტურფა-ცქრიალა სულის სწორსაც, ვისი სხვერპლიც გამხდარა და, ვისი პორტრეტი ახლაც-კი უშვენებს დახავსებულ საკნის კედელს.

აი, მწარე სინამდვილე შეიცვალა ტკბილ

სიზმრათ. ალექსანდრეს სულმა გაშალა ფთეები და დაიწეო ფრენა იქ, სადაც პირველათ აახილა თვალი, სადაც პირველათ იგემა ცხოვრების ტკბილი ნექტარი; სადაც უხვათ დაეწოფა გძნეულ სიყვარულის ფიალას ჯერ ტკბილს, მარა, შემდეგ, გესლათ გადაქცეულს... თავისუფალია სანდრო; ძველებურათ სისხლხორცით სავსე... რკინის ხუნდები და ტუსაღის უშნო სამოსელი აღარ ამახინჯებს მის ახალ-გაზდობას, აღარ აჩენს დამნაშავის სახით...

... ხედავს თვის გაუბედურებულ ქოხს, რო კედლეგიც-კი მხიარულობენ მისი ბედნიერებით...

ეკვრება სიხარულის ცრემლებ მორეულ დედას ამზდელ ძუძუებში, კოკნის საყვარელ მოხუცებულ მამას; ეხვევიან ტოლ-ამხანაგნი და ულოცავენ თავისუფლებას...

—სად არის ჩემი ნინო?! — ეკითხება დედას და, აგერ! მის რკინისებურ გულ-მკერდს ელვის სისწრაფით ეწებება კოკბათ ათქვირებული ძუძუ-მკერდი და, შავთვალ წარბა გოგოს ათრთოლებული ბაგე-კი მის ბაგეს...

—ჩემო სანდრო!.. ჩემო სიცოცხლე?!.

—ჩემო ნინო!.. ჩემო ტურფავ!!..

ხარბათ ჯოკნიან აგზნებულ ბაგეებში ერთი შეორეს...

ბედნიერნი არიან... მარა, აჰა!

—ჩემო მკვლელო! ტკბილია სიცოცხლე?!. ტკბილია სიყვარული?!.—ეკითხება ბედნიერებაში მყოფ სანდროს, მისებ ახალგაზდა თავის სისხლში ამოვლებული უსულო გვამის აჩრდილი:—ხომ იცოდი, რო მეც შენებ ადამიანი ვიყავ; მეც მიყვარდა სიცოცხლე; მეც შემეძლო მესვა ცხოვრების სიტკბოება და, რათ მომწყვიტე ყოველივეს?!..

—ოჰ! შეენ?!. ჩემს სიცოცხლეს შეეხე წასაბილწავათ და იმიტო!.. განა ჩემი ნინო ჩემი საკუთარი სიცოცხლე არ არი?!.—შენი ნინო ჩემთვის უტკბეს სიცოცხლეს წარმოადგენდა, ვიდრე შენთვის...—ოხ! უბედურო!!. საცოდავია ეხ...ხხ... „წკ, წკ“.—აკრთოლებს მძინარეს ჭწარე სიზმარი, ჟღარუნებს ხუნდი, იღვიძებს ავათმყოფი ტყვე; კვლავ საკნის ოთხი კედელი...—ოხ! სიზმარი, სიზმარი! ჯერ ტკბილი მხოლოთ ოცნება და მიუწდომელი, მერე მწარე და სასტიკი სინამდვილე!.. მარა მე ხომ ანგარების მიზნით არ წამირთმევია მისთვის სიცოცხლე? მე ხომ ის არ ჩამიდენია, რისთვისაც მომისაჯეს სამუდამოთ მადნებში მუშაობა და, რაც ჩავიდინე, ამაში განა დამნაშავე მე ვარ?!. ის ხო ჩემი წმიდათა-წმიდა არი?!. და, შეიძლება, ადამიანმა თვისი წმიდათა-წმიდა არ დაიცვას?!. კითხულობს ცალი ფეხით სამარეში მყოფი ტყვე, სურს ისე დალიოს სიცოცხლე, რო გაიგოს დამნაშავეა იგი, თუ არა!... მარა ხმას არავინა სცემს; მხოლოთ მომაკვდავს, თვალ ცრემლიანი მშობლების მაგიერათ, თავს დაცქერის შავათ ჩაფიქრებული ნესტიანი კედლები და, სატრფოს უკანასკნელ ალერსის წილ-კი ფეხთ ბორკილები უმღერიან სიკვდილის ნანას...

მ. რაჭველი.

შურის ძიების სხვერპლნი.

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან).

I

—ი... ი... ი!!.—ხმა ბალალი ტირილით ჩავიდა ეზოში გაბრიელა ბარბაცაძის ერთად ერთი ვაჟი, შალიკო, რომელსაც ცალ ხელში ჭუჭყისგან გაშავებული ტილოს ჩანთა ეჭირა, ცალით-კი აცრემლებულ თვალებს ისრესდა და დრო გამოშვებით გაწვირიანებულ სახელოს წვერით ცხვირს იხოცდა.

თუმცა-ღა შალიკო მეცამეტე წელში უკვე გადამდგარ იყო, მარა მას ისე პატარა ტანი ქონდა, რომ ათ წელზე მეტს ვერ მისცემდი. ამხანაგები მას, ამიტო მეტ-სახელათ „კვიჟღარას“ ეძახდენ, რაც ძლიერ წყინდა შალიკოს და გულში აძაგებდა გამჩენს, რომელმაც მისთვის სიმაღლის მიცემაც ვერ გაიმეტა. და, როდესაც ხნოვანებით მასზე უნცროს, მარა ტანით ბევრათ მოზდილ ბავშს დაინახავდა, მისი პაწაწკინტელა გული შურით ივსებოდა, იგი მედი-

დურათ გამოიმწვევი კილოთი გამოელაპარაკებოდა მას, თითქოს ამით სურდა დაემტკიცებია თვისი უფროსობა და თავ მომწონეთაც გაშორდებოდა.

ტანზე მას ჩითის ზოლებიანი ხალათი ეცვა, რომელიც დიდი ხნის ტარებით ისე გახუნებულიყო, რო ვერ გამოიცნობდი, თუ რა ფერი ქონდა მას ახლობისას. ტილოს, ერთ დროს თეთრი, მარა ახლა მოლზე კოტრიალით ალაგ-ალაგ გამწვანებული, ჭუჭყიანი მოკლე შალვარი მრავალ ადგილას ფართე, სხვა და სხვა ფერის ნაჭრებით ქონდა დაკერებული. თავზე მოხელის ძველი ქუდი გვერდზე ეხურა, რომელსაც კოზირიოკი ნახევრათ მოკილებოდა. ეს ქუდი მას ახლო ნათესავმა, ფოსტაში წერილების დამტარებელმა აჩუქა.

—ი.ი... ი... ი.ი!!.. — მოუმატა შალიკომ ტირილს, როდესაც სახლს მიუახლოვდა.

— რა იყო, ნენა, რა დაგემართა? — ქაქანით შეეგება მას ელისაბედი, რომელიც ბოსტანში მუშაობდა, როცა შვილის გულ-ამოსკვნილი ტირილი შემოესმა. — რეიზა ტირი შენ დეგენაცვლოს შენი ნენაი?! ხომ არ გუულახავხარ ვინმეს? ვაი, ვაი!. მოგიკვდა ჩემი თავი, რავა ყრის მდუღარე კურცხლებს!. — სასოწარკვეთილებით ეკითხებოდა იგი შვილს და თან კაბის კალთით ცრემლებს უწმენდდა.

- გაა...-მო-მაგდეს... კლა—სიდან... უჩიტელმა!.. — ძლივს გასაგებათ ამოჟარჟინა შალიკომ ტირილში.

—რაი, რაი!.. გამოგაგდეს?!. რა თქვი, რა თქვი, აი, შე გასაციებელო, დამღუპე, გამომჭერი ყელი!.. თქვი... თქვი რეიზა გამოგაგდეს!... აი, რა ეყურება ჩემს დასავსებ ყურებს!. - ყვიროდა გაწიწმატებული ელისაბედი და ისედაც თავზარ დაცემულ ბავშს ცალი ხელით, რაც ძალი და ღონე ქონდა, ანძრევდა, ცალით-კი ლოყებს იკაწრავდა.

—ა... ა... არა! წიგნის გულიზა გამომიშვეს!...სანამდი არ იყიდი, არ მოხვიდეო!..— ძლივს ღა განმარტა შალიკომ, შკოლიდან გამოშვების მიზეზი.

—წიგნის გულიზა გამოგიშვეს?!. მეხიკი დავაყარე იმათ თავზე. მე მეგონა, თლად გამოგაგდეს!.. — გულ დამშვიდებით წარმოთქვა ელისაბედმა და კაბის კალთით ოფლი მოიწმინდა.

გაბრიელა ბარბაკაძის ცოლი, ელისაბედი, კარგათ ცნობილი ქალი იყო თვის სოფელ ქედის ძირაში. მას იცნობდენ განსაკუთრებით, როგორც ტკბილ მოსაუბრეს და ზედ მიწევნით კეთილ ადამიანს მთელ სოფელში. არავის ახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ ელისაბედს ვინმესთან უსიამოვნება, ან ჩხუბი და აყალ.მაყალი მოსვლოდეს, რომელიც მაგრე ხშირი მოვლინებაა სოფლის ცხოვრებაში. იგი სიკდილივით ერიდებოდა ასეთ შემთხვევას. მარა, თუ ვინმე მის ინტერესებს უმართებულოთ დაჩაგრავდა, ან კიდევ პირს უკან აძაგებდა მას, რაც ჭირივით ეზარებოდა, ტყუილი იყო მაშინელისაბედის დამშვიდება. იგი, მანამ არ მოეშვებოდა, სანამ სამაგიეროს არ გადაუხდიდა ასეთ თავხედ მეზობელს. მეზობლებიც ერიდებოდენ მას ამიტომ, რო მუდმივ კეთილ-განწყობილებაში იყვენ მასთან და ხშირათ დახმარებასაც-კი უწევდენ, შეძლებისდაგვარათ, როგორც მოხუცი ქმარის პატრონს. არც ელისაბედი რჩებოდა მათ უპატივცემლოთ: თუ მეზობლისას ვინმე ავათ გახდებოდა, ან რაიმე უბედური შემთხვევა მოხდებოდა, ელისაბედი იმ წამსვე იქ იყო გაჩენილი და თვისი ტკბილი, დამამშვიდებელი სიტყვებით, თუ ბალახ-ბულახებიდან შემზადებული წამლებით წყლულს უამებდა მათ. (ელისაბედი ,,ექიმბაშობასაც'' ეწეოდა.) თუ რომელიმე დედა-კაცი ფეხ მძიმეთ იქნებოდა, მშობიარობის ტკივილების დროს, უეჭველათ, ელისაბედს იწვევდენ. ასეთ შემთხვევაში, იგი იყო ბებია ქალის გამოცდილი თინაშემწე და ავათაყოფის გულის იმედი.

ელისაბედი თავის ოჯახშიაც შეუდარებელი მოსაქმე და დაუღალავი მშრომელი დედა კაცი იყო. სხვაფრივ არც-კი შეეძლო მას მოქცევა. გაბრიელა მოხუცებულობას ისე დაეძაბუნებია, რო მძიმე საოჯახო საქმისთვის

აღარ ვარგიყო. იგი დრო-გამოშვებით შეშას მოიტანდა ტყიდან თვისი პატარა მოზვრებით, ეზოს—ღობეს შეაკეთებდა და სხვა. ორიოდე ქცევა ყანას ნაქირავები კაცებით, თუ მეზობლების დახმარებით, ამუშავებდა.

საზოგადოებაში იგი სრულიათ არ ჩდა და არც-კი უწევდენ მას ანგარიშს. ყოველივე საქმე ელისაბედს ეკითხებოდა, იგი იყო ოჯახის გამძღოლ-პატრონი, ოჯახის თავი.

გაბრიელა, თუ გავიდოდა საზოგადოებაში, დაჯდებოდა თავისთვის მოყაყანე ხალხის შორი-ახლო და ბოლთასა სცემდა. ამ რიგათ, იგი წყნარათ ატარებდა თვის უკანასკნელ დღეებს და ელისაბედის საქმიანობაში დარწმუნებული, კმაყოფილი ეძლეოდა ოჯახურ ბედნიერებას.

ცხოვრობდენ ცოლ-ქმარი ტკბილათ-მხიარულათ; მათი ერთად-ერთი ვაჟი, შალიკო, რომელიც მოხუცებულობაში მიეცა მათ, სკოლაში ყავდათ მიბარებული და დღეს, თუ არა ხვალ, სწავლას დაასრულებდა; შემდეგ „უჩიტლათ“ წავიდოდა, ან კიდევ რკინის გზაში „კანტორ'ჩიკათ“ თუ „ტელეგრაფისტათ“ დადგებოდა.

ეს იყო მათი მასულდგმულებელი იმედი, ამას შეტრფოდენ და შეხაროდენ ისინი და არ ზოგავდენ თავიანთ ძალ-ღონეს, ოღონდ-კი შალიკო „ამოეყვანა ტალახიდან და წმინდა“ ცხოვრება მიენიჭებია მისთვის.

—როდის მოვესწრები იმ დღეს, როდესაც ჩემს ბიჭუნიას ყვითელ ფოლაქებში გამოპრანჭულს დევინახავ!..—სასოებით იტყოდა ხოლმე ელისაბედი, ცუგრუმელა შალიკოს გულში ჩაიკრავდა და გძნობით დაუკოცნიდა პირისახეს.

გაბრიელას, საზოგადოთ, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. გეგონებოდათ, ეს ადამიანი, ან მუნჯია ან და ისეთი გულცივი, რო ქვეყნიერებაზე არაფერი არ აინტერესებსო. მარა უნდა გეყურებიათ მისთვის, როდესაც ელისაბედი შვილს მიუალერსებდა. პატარა, ჭროღა თვალები ცეცხლივით აენთებოდა, თამბაქოს კომლისგან გაყვითლებული გძელი ულვაშები საამო ღიმილისგან ოდნავ შეუთამაშთებოდენ, მთელი სახე შარავანდედით გაუბწყინდებოდა.

ჭეშმარიტათ, უსაზღვრო იყო ამ დროს მათი ბედნიერება. იგინი მოწყვეტილი იყვენ ამ ქვეყნიერებას და ფთა შესხმული ოცნებით იქ, აღთქმულ ქვეყანაში, დანავარდობდენ.

შალიკოს სწავლისადმი მუყაითობა და ნიჭი საკმაო საბუთს აძლევდა მათ ოცნებისთვის ფართე გზა მიეცა და სრული იმედით, რო დასახულ მიზანს, ეჭველათ, მიაწევდენ, ვიდოდენ ერთხელვე არჩეული გზით, სანეტარო მიზნისკენ.

ყოველივე ამას, თუ გავითვალისწინებთ, ადვილი გასაგები იქნება ელისაბედის ვაი-ვაში, როდესაც შალიკომ „კლასიდან გამომაგდესო“ უთხრა. მარტო-ღა ამ სიტყვების გაგონებამ ერთის ხელის მოსმით დაუნგრია მას ოცნების სამეფო და შურდულივით დააქანა იგი ძირს, დედამიწისკენ.

მარა საქმის ვითარება მალე გამოირკვია. ელისაბედი დაწყნარდა, ბავშს ცრემლები მოწმინდა და დაყვავებით სახლში შეიყვანა.

ამ დროს გაბრიელაც შემოვიდა.

—რა... რა... რა... დიემართა... რა დიემართა ამ ბი... ბი... ბიჭს?..- იკითხა მან თვისი მოტეხილი ენით, რისთვისაც მას ,,ენა ბლუკუნას'', ეძახდენ სოფელში.

—რა დაემართა და ჩემი სიკვდილი! კლასიდან გამოუშვიათ .,

— რე... რე... რეიზა?..

—წიგნის გულიზა,—განმარტა შალიკომ. —ყველას აქ „რუსკიე პისატელი“ და მე არ მაქ... „ოროკი“ არ ვიცოდი...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. საქმე დაყოვნებას არ ითხენდა და ფულის შოვნის სახსარი-კი არსით ჩდა.

—რა... რა... რა ღირს იგი წიგნი... იგი წიგნი?.. დაარღვია სიჩუმე გაბრიელამ

—ორი აბაზი..—

უ... უ... უნდა ვუშოვოთ სა... სა... სადმე ელისაბედ... ელისაბედ. არ შე... შე... შეიძლება, რომ არ ვუყიდოთ... ბა... ბა... ბავში გაცდება... გაცდება!..

—სად უნდა ვიშოვოთ..—უიმედოთ წარმო-

თქვა ელისაბედმა და ისე მაგრათ ამოიხვნეშა, გეგონებოდათ გული თან ამოიტანაო. იგი გაქვავებული იჯდა ერთ ადგილას და გადამეტებული ფიქრების და დარდისგან სახე დამანჭოდა. „სად ვიშოვო ახლა ფული!... ფიქრობდა იგი. „თვარა და ბიჭს გააცდენენ; შეიძლება ველარც-კი დიეწიოს მერე ამხანაგებს და დაარჩინონ მეორე კლასში. იგი ხომ უბედურებაზე მეტი იქნება. ერთი წელიწადის დაკარგვა ხუმრობა ხომ არაა!.. ერთ წელიწადს აქანა ტყუილათ უნდა დევიხარჯო, იქ-კი ერთი წლის ჯამაგირი იკარქება, არა... არა... უეჭველათ, უნდა ვიშოვო სადმე... დღესვე... აუცილობლათ...“ ასეთი მტკიცე გადაწყვეტილებით ელისაბედმა „საგარიო“ ჩითის კაბა გადაიცვა და იგი ჩქარის ნაბიჯით გარეთ გავიდა.

—სად მი... მი... მიხვალ, ქალო... ქალო?.. შეეკითხა მას გაბრიელა.

—შუშანიკასთან. იხვის ჭუჭულები უნდა მას, მგონია და, შეიძლება, იყიდოს.—მოკლეთ მიუგო კარებიდან ელისაბედმა და გზას გაუდგა.

—კა... კა... კარგი გიფიქრია... კარგი გიფიქრია... რათ გვი... გვი... გვინდა ვითომ ამდენი იხვები... ამდენი იხვები!..—ჩაილაპარაკა გაბრიელამ უფრო თავისთვის, ვინაიდან ელისაბედი ამ დროს უკვე ჭიშკართან იყო მისული. იგი მის ლაპარაკს ვერც გაიგონებდა.

II

—ჩემო შუშანიკა, გუშინ შენ კვატებზე ევაჭრებოდი ჩვენს მაშიკოს. მგონი, ვერ მორიგდით. მე მყავს კვატები და, თუ-კი გუნებით გინდა ყიდვა, უკეთეს ვერ შეხვდები: ნამდვილი რუსული კვატების გვარისაა. ასე ორი კვირის, თუ იქნებიან. არ შეველეოდი, მარა ასე შემიხვდა საქმე, რომ ორიოდე გროში, თუ არ ვიშოვე, მიწა უნდა გევითხარო. ბიჭი გამოუშვეს კლასიდან, წიგნის გულიზა და, თუ არ ვუყიდე, აღარ მეხერხება. შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, რამენაირათ გამომაყვანე ამ გაჭირვებიდან, და მაგიორში მე, თუ ვერა, ღმერთი გადაგიხდის მაგ პატივისცემას—დაუწყო ელისაბედმა პირველი მისალმების შემდეგ, თავისებურათ ტკბილი მუსაიფი შუშანიკას პირდაპირ საქმეზე.

—დიდი საამოვნებით, ჩემო ელისაბედ, აგი რა პატივისცემა არი. სწორეთ რომ ამას დევეძებდი მე. მაშიკომ ისე ძვირათ დააფასა, რომ არ ვიცი... იმ ფასში დიდვრანებსაც-კი ვიყიდი... ყიდვით, უეჭველათ, უნდა ვიყიდო. შენ მოსაშენებელი ქე მაინც გყავს და მე არ-კ იგი გამაჩნია. რაცხა ჩაყლაპული ვარ მაინც. არ მეხდება იგი ოხერი. იქნება კარგი ხელის დარჩება...

—ღმერთმა და იოანე ნათლისმცემელმა გაგიზარდოს და გაგიმრავლოს, შენ გულს რომ უნდოდეს ისე,— სასოებით აღაპყრო ელისაბედმა ზეცისკენ ხელები და გულიანა დალოცა შუშანიკა.

—ღმერთმა შენი თავი მიკოცხლოს, ელისაბედ. ჩვენს შორის დარჩეს და, აგერ, ერთი იმისთანაი მეზობელი მყავს, რომ...— აქ შუშანიკა შეჩერდა, მიმოიხედა, რო დარწმუნებულიყო, ხომ არავინ მითვალთვალებსო და დაბალის ხმით განაგძო:— მის დასავსებ თვალებს არაფერი გადურჩება გუუბზაკვავი... იმისთანაი ხარბია, იმისთანაი მჭრელი თვალები აქ, რო ქვა რომაა, ქვას დაანტროვს ერთი შეხედვით. თფუი, თფუი...დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და კუდიანი!..—შიშით ჩაილაპარაკა შუშანიკამ და განზე გადააფურთხა.

—რა ვიცი, შენი ჭირიმე, აგი ახალთავობის კაცები რომ იყო, სულ იმას იძახოდენ: ღმერთი არაა და ხატიო, ეშმაკებს რა უნდაო... უი... უი... უი! ღმერთო, ნუ უწყენ, თვითონ არ გაეგებოდათ, რას ლაპარაკობდენ.

—ამიზა იყო, ჩემო დაია, რო გაფუჭდა და გეირყვნა ხალხი. ცოდვის არ ეშინოდენ და წაწყმენდის. შორს რაღას მივდივართ, აგერ, ჩვენი ნესტორაის ოჯახი იმ კუდიანი დედა-კაცის წყევლამ და ავმა თვალებმა არ ამოაგდო და ამოაკვინკილა! მოდი და ირწმუნე რამე იმ ახალ--თავობის!.

—ყველაფერს კარგს ჩოდენ, ბატონო, ეგინი, მარა გაგონილა და მოგსწრია ღმერთის გმობა, დეილოცა მისი დიდება... ღმერთი და ხატი რომ არ იყოს და არ მწყალობდეს, ასე ადვილათ ვიშოვიდი დღეს მე ფულს!!.. მაშ, მოგირბენიებ კვატებს, შუშანიკა!—გადავიდა ელი-

საბედი უცებ თვის საჭირ-ბოროტო საკითხზე, რომელიც ასე ადვილათ გადაწყდა, მისდა საარგებლოთ.

—ნუ სწუხდები, შენი ჭირიმე, მე თვით წამევიყვან!..

—რეიზა იკადრებ ამას, შუშანიკა, შენ გაგრეჯი ამის გულიზა... ამ წუთში მოვარბენიებ...

ელისაბედი აღარ გამომშვიდობებია შუშანიკას, სიხარულით აფთოვანებული ჩქარის ნაბიჯით გაეშურა სახლისკენ, რო შუშანიკასთვის კვატები მოეყვანა და ხელში განსაცდელისგან მხსნელი გროშები ჩაეჩხრიალებია...

არ გასულა ნახევარი საათიც, რომ იგი უკანვე დაბრუნდა კვატებით. მწვანეზე ფეხებმორთხმით დაჯდა და კალთიდან კვატები გადმოასხა.

—დილა მშვიდობის, ქალებო! რავა ჩამჯდარხართ ამ ანჯელაში!..—მოესმა მათ ამ დროს შორი-ახლოდან ვილაცას ხმა. იმათ გაცვიფრებით მიიხედეს იქითკენ, საიდანაც ხმა მოისმა. ღობეზე სწორეთ ის „ავ-თვალა“ დედა-კაცი იყო მომდგარი, რომელზედაც ამ ათიოდე წუთის უკან შიშით ლაპარაკობდენ.

ელისაბედმა და შუშანიკამ ერთი-მეორეს ისეთ-ნაირათ გადახედეს, რო გეგონებოდათ, ეს ადამიანები ბოროტ-მოქმედებაში დაიჭირეს და დასამალავი გზა აღარ აქვთო.

—დასწყეველოს ღმერთმა! ხო გითხარი წახანაი!. რავა დემეცა თავზე!.. კუდიანია, აბა, რაღა ჯანდაბაა!..—გაბრაზებით ჩაჩურჩულა შუშანიკამ ელისაბედს და ზიზღით სავსე თვალებით მარინეს (ასე ერქვა იმ დედაკაცს) მიაპყრო.

ელისაიედმა-კი კვატებს საჩქაროთ კაბის კალთა გადაეფარა, რომ „ავ-თვალა“ დედა-კაცს არ დაენახა იგინი. მარა წიწილები ახმაურდენ და გამომეცვენდა მათი იქ ყოფნა...

კვატების ხმაურობაზე მარინემ ნელა გადმოალაჯა ღობეზე და ქალების გვერდით მწვანეზე დაჯდა.

—შუშანიკა! კვატები იყიდე, თუ გაყიდე?—ეშმაკური ღიმილით შეეკითხა იგი შუშანიკას და ელისაბედს კალთაში ჩაუხედა.—იფ... იფ... იფ!.. რა ლამაზებია!.. რეიზაა, ქალებო, ყველა ახლათ დაბადებული ცხოველი ლამაზი და ბალანაზე-კი არ შეიხედებაზ?!..

—რა ვიცი. ყველაფერი ღვთის ნებაა!..—

—არეულათ მიუგო შუშანიკამ და, შემდეგ, ისევ ელისაბედს მოუბრუნდა: —ჩამომისვი შენი ჭირიმე, აგერ კალთაში და წეკიყვან!.

—მართლა, კვატებზე გამახსენდა! მათიეის ივლიტას დაკარგვია გუშინ კვატები, ორი კვირის გამოჩეკილი იყო, აი, ამოდენა.... სწორეთ, იწყევლება, მარა რაფერ იწყევლება ივლიტაი!..—თავისებური ღიმილით წარმოთქვა მარინემ და კვატებს დაუწყო თვალიერება.

—ალბათ, ძაღლი, ან ღორი შეუჭამდა, თვარა რა დაკარგავდა ისე კვატებს,—მიუგო მას შუშანიკამ და ასადგომათ წამოიწია.

ელისაბედს-კი მარინეს სიტყვებმა და მისმა კვატებზე განსაკუთრებით ცქერამ, რაღაც გამოურკვეველი უსიამოვნება აგრძნობინა. მან კარგათ იცოდა მარინეს ავ-ყიობა და შიშის ქარმა აიტანა; ვაი, თუ ამ კუდიანმა, ენატანია დედა კაცმა რაიმე ცუდი საქმე შემამთხვიოსო. ცუდი სიზმრები მაინც მოსვენებას არ აძლევდენ მას ამ ბოლო ხანებში. ხან პირდაღებული უზარმაზარი გველი ეპარებოდა ვითომ საკბენათ, ხან ამღვრეულ წყალში ვარდებოდა და იხრჩობოდა და, ვინ მოთვლის, რა და რა არ ეზმანებოდა. მარინაის საქციელმა და მისმა ორპოფულმა სიტყვებმა თლად აურიეს ელისაბედს დავთარი. მართალია, მას არაფერი ცოდვა მიუძღოდა, მარა წინათ-გძნობა თავისას ჩაჩურჩულებდა: „ცამდი მართალი ხარ, ყველასთვის კეთილი გსურს, ყველას ეხმარები, ცუდ საქმეს არ ჩადიხარ, მარა მაინც უნდა დაისაჯოო“. ეს წინათ გძნობა ისეთი ძლიერი და მწარე იყო, რო მას მღელვარებისგან სახე ჭარხალივით მოექცა.

—აბა, შენ იცი, ჩემო შუშანიკა, თუ არ დამაღალატებ!.. ხვალ, თუ არ გავატანე ბიჭს ფული, ისე კლასში არ მიუშობენ.

—კი, შენი ჭირიმე, კაცი მუა ყანიდან და ჩემი ხელით გაახლებ ამ საღამოსვე,—ამ სიტყვებით ისინი ერთმანეთს გაშორდენ. მარინე ერთხანს ჩაფიქრებული იდგა საქსოვით ხელში და მიმავალი მიჩერებოდა: ეტყობიდა, რაღაც გეგმას აწყობდა.

გ. ებრალიძე.

(შემდეგი იქნება).

ᲒᲖᲐᲖᲔ.

მიქრის და მიქრის მატარებელი,
წინ, ვით აჩრდილნი, ხენი მხვედებიან;
გაიელვებენ ჩემ სარკმელთან და
ლაჟვძრდ სივრცეში დაინთქმებიან!
მე მარტოთ მარტო ვდგავარ სარკმელთან,
უხმოდ გავცქერი შორს დანთქმულ ხეებს
და სინანულით ვიგონებ წარსულს
ჩემ სიყმაწვილის დაკარგულ დღეებს!..
და მიქრის ჩემი მატარებელი,
თავბრუ დამხვევათ ტრიალებს ველი...
წინ გზა სავლელი ბნელ ბურუსიდან
ისევ მოძვრება, ვით ხვრელით გველი...
ეცვლება ფერი არე-მიდამოს,-
მუდამ სხვა-და სხვა სახით მხვდებიან,
მეგებებიან ტკბილ იმედებით
და მწუხარებით მეთხოვებიან.
და კვალათ მიქრის მატარებელი...
მეც მესმის მისი სულის კვეთება,—
კვლავ ვერ აღადგენს განვლილთა დღეთა
და მომავალსაც ვერ ასცილდება!..
...ამაოთ ვუცდი, ამაოთ ველი,
ამაოთ ღვივის გულს რწმენის ქურა,—
კვლავ ვერ აღსდგება, რაკ ამ ოხერ გზამ
გამიტიალა, გამინადგურა!
და...ჩემი ნატვრა, ფიქრი ყოველი,
რაც სიყმაწვილით აღვზარდე გულში,
სამარადისოთ დავასამარე
განვლილ დღეების წყვდიად უფსკრულში!..
და მიქრის ისევ მატარებელი,
წინ, ვით ჩვენება, ხენი მხვდებიან;
გაიელვებენ ჩემს სარკმელთან და
ლაჟვარ სივრცეში დაინთქმებიან!..
გასწი, გაქროლე, მატარებელო,
რო დავშთო სოფლის ამაოება;
თუ-კი მიზეზი ქონდა სიცოცხლეს,
ნუ-თუ მიზანი აღარ ექნება?
მაშ, ჩქარა, ჩქარა, მატარებელო...
სულს ენატრება ყოფნის საზღვარი,-
იქნებ იქ არი შვების სამთავრო,
ჩვენი მიზანიც, იქნებ, იქ არი!.....

ილ. გოგია.

„დამცემი.“

(ტუსაღის ნაამბობი.)

... იმ დღეს ჩვენ საკანში შეუმჩნევლათ შამოიპარა უფროსის თანაშემწე, რომელსაც ტუსაღები მეტსახელათ „ᲯᲝᲠᲘᲡ“ ეძახოდენ. მან გაზეთი მინახა. ამ დანაშაულობისთვის კი, როგორც მიღებული იყო, სრულიათ ბნელსა და ვიწრო საკანში ჩამაგდო... ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲣᲠᲘ სიბნელით გარემოცული, საშინელ, გულის მღრღნელ მარტოობას ვგძნობდი!.. ღამდებოდა. პატარა გამოჭრილში, საიდანც დღით სინათლის მკრთალი შუქი იპარებოდა და იმ სიბნელის სამეფოს ოდნავ მაინც აშუქებდა, ახლა სრულიათ არ შემოდიოდა სინათლის შუქი და ისედაც ბნელი საკანი ძრწოლის მომგვრელი სიბნელის გახორციელებას წარმოადგენდა... ᲯᲔᲮᲑᲖᲔ დგომა რო ვეღარ შევძელი, ძირს სველსა და ნესტით გაჟღენთილ ცემენტის იატაკზე ჩავᲯᲔᲥᲘ, თავი ხელებზე დავიყუდნე და ფიქრებმა წამიღო...

ძნელია ასეთ მდგომარეობაში მარტოობა!..

ვინ იცის, რა არ მოᲒᲐᲒᲝᲜᲓᲔᲑᲐ, სად არ შემოგაქროლებს ფიქრ-მოგონებათა ნიავსავით მარდი ფთები და, როცა ნავარდს დაასრულებ და უცებ სასტიკი, გულის დამწველი სინამდვილე თვალწინ გადაგეშლება, მაშინ, ოხ, მაშინ... უნდა ნახოთ, როგორ დაიკაწრება და სულის მქენᲯᲜᲔᲚᲘ სევდა-კაეშნით აივსება კაცის გული!..

უცეფ საკნის კარი გაიღო. ჰაერი წამსვე ამოძრავდა და შიგ შედარებით წმინდა ჰაერმა შამოიქროლა... შვება ვიგძენი!.. მარა მალე კარი ᲑᲠᲐᲮᲣᲜᲘᲗ შამოხურეს და შიგ ვიღაც შემოაგდეს. სიბნელის ᲒᲐᲛᲝ, ვერ ვიცანი იგი.

— ვინა ხარ, ძმაო, შენ?

— ნესტორა, მიპასუხა მან და იქითაქით ტრიალი დაიწყო. ეტყობოდა, რო გულმოსული იყო.

ნესტორა ახალგაზდა, ოცი წლის ყმაწვილი იყო და გაცარცვისთვის რვა წლის კატორღა ქონდა მისჯილი.

— რა იყო, რისთვის მოგიყვანეს აქ?

— დაწყეველოს ღმერთმა მაგათი თავი! სულ უბრალოთ! „კამერაში“ ილიკოს და კოწიას ჩხუბი მოუვიდათ, მე ვᲐᲨᲕᲔᲚᲔᲑᲓᲘ და, ამ დროს უფროსი შემოვიდა, მე მოჩხუბარი ვეგონე და იმისთვის წამომიყვანა... ბევრი ვეხვეწე: მე არ მიჩხუბებია და გამიშვი-მეთქი. მარა ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ გულისთვის არ ქნა. აბა, ვინ იჩხუბა, ის მითხარო, და მე ამხანაგს ხელს ხოვერ დავადობდი...

— რა ვუყოთ! მარტოობა საშინლათ მაწუხებდა და ახლა ამეღამ ამხანაგი მეყოლები. —ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ ვუთხარი და მუსაიფი დავიწყეთ..

— ნესტორ, მიამბე შენი თავ-გადასავალი, თორე სალაპარაკო შემოგველია და ასე ვერ გავძლებთ. — შევეხვეწე მას, როცა სამუსაიფო აღარაფერი დაგვრჩა.

— რა უნდა გიამბო, ძამია! —ყოყმანით მიპასუხა მან. მარა, შემდეგ, თვითვე მომიყვა თვისი თავ-გადასავალი.

„— ... ცხრა წლის ვიყავი, მამა რო მომიკვდა... დედა ჩემი ᲯᲔᲠ კიდევ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ-ქალი იყო, მარა გათხოვებაზე მაინც არ ფიქრობდა. ერთი შვილი ვყავდი, ჩემს მეტი არავინ გააჩდა და მუდამ ჩემზე ფიქრობდა, ჩემთვის ზრუნავდა... ჩვენ ძლიერ ღარიბი ვიყავით. მარა დედა მაინც ახერხებდა და გაჭირვებით თავი გამოგვქონდა... მე სოფლის სკოლაში ვსწავლობდი; მალე დავასრულე და ახლა დედა სულ იმას ფიქრობდა, რო რამე ხელობა ესწავლებია ჩემთვის... მეც გულით მინდოდა ხელოსნობა. ერთხელ, საააღდგომოთ, ბაქოდან სოფელში ჩამოვიდა ჩვენი მეზობელი, რომელიც იქ მექანიკურ სახელოსნოში მუშაობდა, და დედა ჩემმაც მას შეეხვეწა, რო ჩემთვის ალაგი ეშოვა. იგი დედას შეპირდა, რო მე იმ სახელოსნოში, სადაც ის მუშაობდა, მოწაფის ალაგს მიშოვიდა. დედას პირველათ გაუხარდა. მარა, შემდეგ, ცრემლის ღვრით და ქვითინით გამისტუმრა ბაქოში... იმ ჩემმა მეზობელმა, მართლაც, გაახერხა და ქარხნის სახელოსნოში მოწაფეთ დამაყენა... პირველათ ძალიან ძნელი იყო ჩემთვის იქ მუშაობა, განსაკუთრებით, ნავთის სუნით გაჟღენთილი ჰაერის იტანა. მარა თანდათან შევეჩვიე და ხელობის შესწავლას გულ-მოდგინეთ შევუდექი... სამი

წლის შემდეგ, დღეში ექვსი აბაზი მეძლეოდა და ცოტა ოთახის ქირაც. ამან გამაბედვინა, რო დედაც იქ წამეყვანა და ჩემთან დამეყენებია... ძლიერ მეცოდებოდა საწყალობელი!.. სულ ტიროდა, რო მე, მისი ერთად ერთი ნუგეში, ასე შორს ვყავდი და მუდამ იმას მწერდა, მეხვეწებოდა, რომ იგიც იქ წამეყვანა... ვიქირავე ერთი პატარა ოთახი და შიგ მე და დედა ჩემი მოვთავსდით... მე რო სამუშაოთ წავიდოდი, დედა მარტო რჩებოდა. იმ ეზოში, სადაც ჩვენ ვიდექით, ერთი ქართველიც არ ცხოვრობდა, — და იგიც დილიდან საღამომდი მუნჯათ ატარებდა დროს. რასაკვირველია, მისთვის ძნელი იყო ასეთი ყოფა. მარა, რათგან საღამოობით და კვირა უქმე დღეობით-კი მხედავდა მის ერთად ერთ შვილს, ყოველ გაჭირვებას და მარტოობას მხნეთ იტანდა, არ იმჩნევდა... ხშირათ მოხდებოდა, რო საღამოს ქარხანაში მუშათა კრება გაიმართებოდა და მეც, რასაკვირველია, იქ დავრჩებოდი, ეს-კი საშინლათ ტანჯავდა საწყალობელ დედას. შვა ღამემდი რომ არ მოვსულიყავი სახლში, არ დაწობდა. იჯდა ფანჯარასთან და ჩემს მისვლას გულის ფანცქალით ელოდა. ხშირათ ვეუბნებოდი: დაწექი დედა, მე, თუ დამაგვიანდეს, ნუ მიცდი-მეთქი, მარა ის ყოველთვის უარზე იდგა.

შვილო, შენ თუ არ შეგხედე, ისე, როგორ დამეძინებაო! — მიპასუხებდა...

მარა მალე ამ „ბედნიერებასაც“ მოეღო ბოლო! ქარხნის სახელოსნო დახურეს, რათგან სახელოსნოს მუშები მთელი ქარხნის მუშების ხელ-მძღვანელები და წინამძღოლი იყვენ... დავრჩი ქუჩაში ულუკმა-პუროთ!.. ბევრი ვეცადე და ვიხეტიალე სხვადასხვა ქარხნებში. მარა ალაგს არსად არ მაძლევდენ... შავი მუშის ალაგიც არ იშოვებოდა. ძლიერ ბევრი იყვენ უმუშევარნი. და ესეც რომ არ ყოფილიყო, ქართველი ვიყავი, და ქართველობა იმ დროში ხომ ისეთი დამნაშაობა იყო, რომ ალაგს კი არა, ახლოსაც არ გიკარებდა ქარხნის გამგე...

ნათქვამია: „გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოეწია“ — და მეც ასე მომივიდა: დედა ავათ გამიხდა... როგორც იყო, ამხანაგ მუშების დახმარებით გავახერხე და მრეწველთა საბჭოს საავათმყოფოში მოვათავსე იგი...

ყოველთვის, როცა-კი ნებას მაძლევდენ, მასთან დავდიოდი, ვნახულობდი; ვხედავდი, რომ უჩემობა საშინლათ ტანჯავდა, გულს უკლავდა... იმ ოთახში, საცა დედა იწვა, ხუთი, თუ ექვსი ავათმყოფი ქალი იყო და ყველა მათგანი უკვე მიცნობდა, მე რო შევიდოდი, ისინი დადუმდებოდენ და სევდიან თვალებს ჩვენ მოგვაპყრობდენ. ერთი ავათმყოფი გოგონა ისეთი სევდიანი გამომეტყველობით შემომაცქერდებოდა, ისე ფართედ დააღებდა თავის დიდრონ, ცის ფერ ლამაზ თვალებს, — რო ტანში ჟრუანტელი დამივლიდა. რაღაც ენით გამოუთქმელი მწუხარება იხატებოდა იმ თვალებში და მეც ამ საშინელი მწუხარებით მევსებოდა გული, სული მეხუთებოდა... ერთხელ, დედა ჩემი საშინლათ შეწუხებული დამხვდა. თვალები ჩაცვენოდა და ადამიანის ფერი აღარ ედო... მე რო შემხედა, მიმქრალი თვალები გაუბწყინდა, დასუსტებული, გაყვითლებული ხელები ჩემკენ გამოიშვირა და გულში ჩამიკრა... დიდ ხანს ვყავდი ასე ჩახუტებული და თავისთვის ამბობდა: ,,ჩემი შვილი... ჩემი ნესტორა... შენ შემოგევლოს, შვილო, ჩემი თავი''ო... შემდეგ, მის ტახტზე ჩამომიჯინა და ცრემლებით სავსე თვალებს არ მაშორებდა... საშინლათ ვიტანჯებოდი; სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი... ბოლოს, აკანკალებული ხმით შევეკითხე:

როგორ ხარ, დედა?..

— რას ვიზამ, შვილო!.. ჩემი მორჩენა ძნელია... მე აქ მეტს ველარ გავძლებ... მალე მოვკვდები...— მას ტუჩები აუთრთოლდა, თვალებიდან ცრემლები გადმოცვინდა და ძალუნებურათ დადუმდა...

— ნუ სტირი, დედილო!.. მალე მორჩები... მეც კარგ ალაგს ვიშოვი და ბედნიერათ ვიცხოვრებთ. — ძლივს გავახერხე მენუგეშებია. მან მწარეთ ამოიოხრა, აკანკალებული ხელებით ცრემლები მოიწმინდა, თვალი თვალში გამიყარა და მთრთოლვარე ხმით მითხრა:

— შვილო, ჩემო იმედო! წამიყვანე სახლში... აქ, ამ თათრების ქვეყანაში, ნუ დამ მარხავ... მე აქ ვერ მოვრჩები... ჩვენი არემარის ერთი თვალის მოვლება ჩამაყოლე, შვილო, სამარეში...—ამას რო მეუბნებოდა, ცრემლებით გაბწყინებულ თვალებს არ მა. შორებდა, და ეს მისი გამომეტყველობა ბევრ რასმე მეუბნებოდა... გული მომიკვდა... ცრემლები ვერ შევიკავე... მე მხოლოთ დედის მუდარით სავსე თვალებს ვხედავდი და ამ თვალებში ჩემდამი მომართულ თხოვნას ვკიხულობდი:— წამიყვანე, შვილო, სახლშიო, ამ უცხო ქვეყანაში ნუ დამმარ. ხაო... და მეც მაშინვე აღვუთქვი, რომ ორ დღეში სახლში წავიყვანდი, აუცილებლათ წავიყვანდი... როცა გამოვეთხოვე, დამშვიდებული დავტოვე; მას ჯეროდა, რო მე ჩემს შეპირებას პირ-ნათლად შევასრულებდი... იქიდან რო გამოვედი და გრილმა ნიავმა შემომიქროლა, მხოლოთ მაშინ მომაგონდა: რა საშვალებით უნდა წამეყვანა დედა სახლში? ამისთვის ხომ ოცდაათი მანათი მაინც იყო საჭირო. და მე ერთი გროშიც არ გამაჩდა. ეს საკითხავი მოსვენებას არ მაძლევდა, სიცოცხლეს მიშხამავდა...

ღამდებოდა... ქარხნების საყვირის ხმა არეულათ მოისმოდა, ზუზუნობდა. დატვირთული დროგები, ტრამვაის ვაგონები და ეტლები ქუჩაში მიმოხრიგინობდენ და მტვერის ნისლს აყენებდენ... მე თავჩაღუნული უაზროთ მივდიოდი და იმ საზარ საკითხისთვის პასუხი ვერ გამეცა... ჩემდა შეუმჩნევლათ ქალაქის ბაღის პირდაპირ, ზღვის პირათ მივსულიყავი და იქ ვიჯექი...

ზღვა ოდნავ ღელავდა... იგი ნელის შხაპუნით, საამო შუილით ეხეთქებოდა ნაპირებს... ბაღიდან მუსიკის საამური ხმა მოისმოდა და სადღაც შორს, ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში იკარგებოდა. ხშირათ სიცილ ხარხარიც შეეერთდებოდა მუსიკის ხმას და, შემდეგ, მასში ინთქებოდა... მე-კი შავი ფიქრები, გულის მკოდველი ფიქრები მოსვენებას არ მაძლევდა. რა უსამართლობაა,—ვფიქრობდი მე—კაცს შენი ძალ-ღონის, შენი ჯანის გაყიდვა გინდა და მყიდველი ვერ გიშოვნია... აბა, რათ მინდა ძალ ღონე და ეს ხელები, თუ მათი საშვალებით თავს ვერ გამოვიკვებავ?!. საწყალობელი დედა! აუცილებლათ სახლში უნდა წავიყვანო. მარა, როგორ? სად ვიშოვო ფული, ეს წყეული ფული?..

უცებ ვიღაცა თავზე წამომადგა.

- გამარჯობა შენი, ნესტორ!

— გაგიმარჯოს! - ვუპასუხე მე და თვალებში შევაცქერდი. ეს ჩემი შორე-ახლო ნაცნობი პავლია იყო, რომელიც კარგი ხანია არ მუშაობდა და ისე „ავარათ“ დადიოდა. ამბობდენ „დამცემი“ არისო, თავს იმით ირჩ. ენსო. მარა მართალი არ ვიცოდი.

—რამ მოგაწყინა, კაცო? აქ მარტო რო ჩამჯდარხარ, რა ამბავია? „სიმპათიას“ ხომ არ უცდი? ეგებ, დააგვიანდა და იმიტო ხარ ასე დაღონებული? ნუ შეგრცხვება, მართალი მითხარი!

—რის „სიმპათია“ ,პავლე, ხომ არ გადაირიე !— წყენით ვუპასუხე მე.

- -აბა, რა მიზეზია ასე მარტო, რო ხარ? რამ დაგაღონა?

—რა მიზეზი იქნება! ისე არ ვარ ხასიათზე.—

—არა, მე მაგი არ მჯერა... მითხარი კაცო, ხომ არაფერი გიჭირს ?.— მინდოდა კიდევ უარი მეთქვა,მარა მაშინ ისეთ ხასიათზე ვიყავი, ისეთ გამოუალ მდომარეობაში ვგძნობდი თავს, რო ჩემი ფიქრების სხვთვის გაზიარება ძალიან მინდოდა და მეც ყველაფერი ვუამბე...

— ეხ, დასწყევლოს ღმერთმა! გუშინ ხუთი თუმანი ფული მქონდა და ყველა კარტში წავაგე. ახლა ერთი კაპეიკი არ გამაჩნია, თორე ხო გიშოვიდი, კაცო, მაგ ფულს!— წამოიძახა მან და ჩაფიქრდა... შემდეგ, გარშემო მიმოიხედა, თავი ჩემკენ დასწია და ჩუმი ხმით მითხრა:

—კაცო, რა გითხრა, იცი? ერთი საქმე არის, აგერ, გასაკეთებელი და მოდი გავაკეთოთ... ჩვენ ის საქმე ამდენ ხანს უნდა გაგვეკეთებია, მარა ერთი მარჯკე ამხანაგი გვაკლდა და ახლა შენ, თუ მიიღებ მონაწილეობას, ხვალ საღამოს ოცდ ათი მანათი-კი არა, ორი ათასი მანათი შეგხვდება!

- -რა საქმე, პავლე? გაკვირვებით შეეკითხე მე.

—რა საქმეა—ამას მერე გეტყვი. შენ ის

მითხარი, მიიღებ მონაწილეობას, თუ არა?

მაშინ მივხვდი, რო გაცარცვაზე მელაპარაკებოდა და საშინლათ მეწყინა. როდის ნახა მაგან, რო მე გაცარცვაში მონაწილეობას ვიღებდი — მეთქი, ვიფიქრე მე. მარა, შემდეგ, მომაგონდა დედა, მისი ცრემლებით სავსე თვალები, რომელიც ერთი საათის წინათ მეხვეწებოდა, სახლში წამიყვანეო, და რყევა დავიწყე...

— რას ჩაფიქრდი, კაცო? მე შენ მარჯვე ბიჭი მეგონე და, მგონი, შეგეშინდა. — ამან ერთი კიდევ წამიბიძგა და საშინელი გულის ტკივილით სიტყვა მივეცი, რო მეორე დღეს დანიშნულ ალაგას მივიდოდი, სადაც ის და მისი ამხანაგები დაშხვდებოდენ და იარაღსაც მომცემდენ.

— აბა, შენ იცი, არ დაიგვიანო, დროზე მოდი! — მითხრა პავლიამ და გამშორდა...

მთელი ღამე არ მიძინია... საშინლათ, გამოუთქმელათ ვიტანჯებოდი... ვერ შევრიგებოდი იმ აზრს, რო მეორე დღეს დასაცემათ წავიდოდი... რო დამიჭირონ, — ვფიქრობდი მე, — მაშინ რაღა ეშველება დედას?.. ამხანახები რო გაიგებენ, ნესტორა დაცემაზე დაიკარკაო, რას იტყვიან?.. და კიდევ ბევრი, ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიტანჯე... შემდეგ, მომაგონდა ერთი მდიდარი ქართველი, რომელიც ერთ კრებაზე ბევრს ლაპარაკობდა იმის შესახებ, რო ზოგმა ქართველმა ბაქოში სახელი გაგვიტეხა, რათგან ყოველი გაცარცვის მონაწილე ისინი არიანო; და ამბობდა, რო საჭიროა ზომები მივიღოთ ამის წინააღმდეგო. ვიფიქრე, მივალ, ავუხსნი ჩემს უმწეო მდგომარეობას და შევეხვეწები, რო გზის ფული ცოტა ხნით მასესხოს და, შემდეგ, გადავუხდი — მეთქი, — და ამან ცოტათი დამამშვიდა, იმედი მომცა, რომ იმ საშინელ მდგომარეობიდან გამოვიდოდი.

მეორე დღეს, როგორც გათენდა, მაშინვე გავიქეცი იმ ქართველთან... ათ საათამდი კარებთან ვიცდიდი... მოუთმენლობამ ამიტანა; გულს ბაგა-ბუკი გაქონდა... და, ბოლოს, მიმიღეს. და, როცა ის ჩემი იმედი გამობძანდა მისაღებ ოთახში, ზდილობიანათ მკითხა რუსულათ:

Въ чемъ дѣло? Чѣмъ я могу вамъ служить?

მე მღელვარებით დავუწყე ჩემი მდგომარეობის ახსნა, და, როცა ფული ვახსენე, მაშინ უცებ შეიკმუხნა მისი შუბლი. მარა მალე გაისწორა და მწუხარების გამომხატველი ხმით მითხრა:

Къ сожалѣнію, теперь не имѣю свободныхъ денегъ, а то съ удовольствіемъ помогъ бы — ъ.

ამ პასუხმა თავ-ზარი დამცა! ასე მეგონა, მთელი სახლი ტრიალებს და სადღაც უფსკრულში მიმაქანებს — მეთქი...

ქუჩაში რო გამოვედი, შეშლილივით დავიწყე ხეტიალი და სად წავსულიყავი, არ ვიცოდი... აღმნიშნული დროც მოვიდა. ან პავლიასთან უნდა წასულვიყავი, ან და დედის თხოვნა შეუსრულებელი მრჩებოდა... მე პირველი ვარჩიე... გამოუცდელი ვიყავი და იქვე დამიჭირეს. დანარჩენებმა-კი თავს უშველეს დ ფულიც თან წაიღეს..

... საწყალობელი დედა! მისი თხოვნა მაინც ვერ შევასრულე... ჩემი ამბავი ოთხი დღის შემდეგ გაეგო და საავადმყოფოში გადაცვლილიყო... როგორც ის, ჩემი საყვარელი დედა, სამშობლოს გარეთ, უკუთა ხელით დიმარხა, — ისე მეც, ვინ იცის, როდის ჩამთქავს ცომ ბირის ცივი მიწა!! —. წამოიძახა ნესტორამ, მწარეთ, მწარეთ ამოიოხრა და დადუმდა...

საკანში სამარისებური დუმილი გამეფდა. ღამე იყო... ტუსაღთა ხმაურობა და ბორკილების რაჩხა-რუჩხი ადარ ისმოდა. მხოლოთ დერეფანში მოსეირნე ზედამხედველის ჩექმების ბრახუნი ღა არღვევდა სევდის მგვრელ მკვდრულ დუმილს...

ობოლი მუშა.

შვების სხივი.

I

ვარსკვლავთ ციმციმს მოსწყდა სხივი,
ცის უფსკრულში ჰოვა ბინა,
ღმერთთ შიკრიკმა ცხოვრების ველს,
მთის ზღაპარი ამცნობინა.
ყვავილების ნაზ ლოყებზე
ღამის ბინდი მიაძინა; —
ცის ასულსა გამოსტაცა
ვეცხლის სხივი, ვეცხლის ძეწნა,
მთათა მწვერვალს სტყორცნა იგი,
შვების ცრემლი დაადინა,
ყვავილთ ბუჩქი, შვების ყლორტი,
ვრსკვლავთ ფიქრში გააცინა.
მან ასმინა ცისკრის შიკრიკს,
ქვეყნის მწარე საიდუმლო,
და ფიქრები, ამოცანა
მსურს მხოლოთ მას გავუმხილო.

II

შავი ზეწარი კვლავათ აკრავს სამშობლო მხარეს,
კვლავ აღიმართა გოლგოთაზე ტანჯვისა ჯვარი,
მაშვრალთ უბნიდან გამოისმის ცრემლთა დუღილი,
კვლავ მთას მოევლო ფიქრი მწარე, გლოვისა ზარი.
ქვეყნის დუღილში ჩაიწვეთა ცრემლი მწუხრისა,
ყოფნა იმედის მზეს მისტირის, საფლავში ჩასულს,
კვლავათა კვნესა, კვლავათ მოთქმა, კვლავათ ვაება,
მხარე მშობელი მზეს უყივის ოდესღაც ნახულს...

* * *

ცასა მოსწყდა შვების სხივი,
შორს გამოჩდა, შორს ცისკარი,
და ქვეყანამ, მაშვალთ კერამ,
გადატყორცნა ფიქრთ ზეწარი.
ცრემლი წამით მოიწმინდა,
გამოუღო ტრფობას კარი,
მიესალმა გძნობით სავსეს,
გამოკითხა დანაბარი.

ს. ტაიფუნი.

ბიბლიოგრაფია.*)

(„რიჟრაჟზე სათქმელი“, ალექსი ჭიჭინაძისა.)

ორმოცდაათი წელიწადია, რაც საქართველოში ახალი ფეხ-ადგმული ცხოვრება დაიწყო. მას აქით ახალს ეროვნულ სკოლასაც ნელ ნელა საძირკველი და კედლებიც უშენდებოდა. დიდი ჭაპანწყვეტით და მეცადინობით შენდებოდა და, ბოლოს, როგორც იქნა; ეს კედლები გადაიხურა კიდეც და დღეს უკვე გვაქვს ჩვენს საკუთარ ძვირფას შენობაშივე მოთავსებული ვაჟიათვის და ქალიშვილებისთვის დაბალი და საშვალო წმინდა ქართული სასწავლებლები.

ამ ხნის განმავლობაში ქართულ ღარიბ პრესაში, თუ ვინმე ჩემსავით მოცლილი ათასში ერთხელ კუდიანი ვარსკვლავივით უეცრათ და სრულიათ მოულოდნელათაც გაიელვებდა და ქართველ მკითხველ მცირე საზოგადოებას მოაგონებდა, რომ არის დაწინაურებული ქვეყნები, სადაც საქვეყნოთ გათქმული პედაგოგები ეროვნულ ნიადაგზე გამწარებით დღე და ღამ მუშაობენ სწავლა განათლების, ეროვნულ სასწავლებლების უნაკლულოთ მოწყობაზე, თავდადებული ფიქრობენ და ცდილობენ სრულიათ ახალ-ახალი, ცოცხალი ექსპერიმენტალური პედაგოგიკის და მეთოდების წყალობით მოზარდი თაობის აღზრდას და გავითარებას.

ეროვნულ პედაგოგიკის ასპარეზზე ჩვენშიაც არიან დღეს მომუშავენი. მარა, მათ შორის, უფრო ორი ნიჭიერი ქართველი იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთი იყო განსვენებული იაკობ გოგებაშვილი და მეორეა ალექსი ჭიჭინაძე.

ალექსი ჭიჭინაძე ერთი უხუცეს პედაგოგთაგანია ამ ჟამათ ჩვენში, რომლის მოღვაწეობასაც ქვეყნისთვის დიდათ სასარგებლო ისტორია და თავგადასავალი აქვს.

როცა ქუთაისის ერთ დაბალ სასწავლებელში ვსწავლობდი, ალექსი, რუსეთიდან ახლათ კურს დასრულებული, ჩვენი სასწავლებლის უფროს კლასებში იყო მასწავლებლათ. ეგი, როგორც ნიჭიერი უნივერსიტეტელი, მოიწვია ჩვენი სასწავლებლის დიდათ ნიჭიერმა ახალგაზდა ზედამხედველმა-მიხეილ ასათიანმა,*) რომელიც სულით და გულით ცდილობდა ჩვენ აღმზრდელებათ მოეწვია ნიჭიერი, უმაღლეს სასწავლებლებში კურს დასრულებულნი...

ახლათ დანიშნულ მასწავლებელს, ალექსი ჭიჭინაძეს ჩვენ, ყმაწვილები ერთმანეთში „ალექსის“ ვუწოდებდით. მას იშვიათი მორიდებით და ნაზი სიყვარულით ეპყრობოდენ მასწავლენიც და მასწავლებელნიც. ჩვენ თავიც მოგვქონდა და ვამაყობდით, რომ ალექსი ჩვენი მასწავლებელი იყო და ხშირათ გაბრიელ ეპისკოპოზის ძმისწულებს, რომელნიც გიმნაზიაში სწავლობდენ, ვიტყოდით, რომ ალექსისთანა მასწავლებელი თქვენ სულ არ მოგეძევებათ გიმნაზიაში თქო...

როცა ქუთაისში სათავად აზნაურო სასწავლებელი დაარსდა, ალექსი შეიქნა პირველი მოთაკე და გამგე ამ სასწავლებლისა. შემდეგ, იქიდან იგი თფილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის გამგეთ იქნა გადმოყვანილი, სადაც მან დაიმსახურა დიდი ნდობა და სიყვარული მოზარდი მოსწავლე ახალგაზდობისა, ჩვენი ინტელიგენციისა და საზოგადოებისა.

ილიასა და ვანო-მაჩაბლის შორის საბანკო ასპარეზზე დიდი განხეთქილების და პარტიობის გამწვავების დროს ჩვენში, ქართული გიმნაზია თფილისში ამ პარტიების სათამაშოთ უნდოდათ გაეხადათ. ალექსის უმწიკვლო, წმინდა არსებამ ვერ აიტანა ასეთი კიზილბაშური უსაქციელობა და დიდი გულის ტკივილით გაშორდა თავის უსაყვარელს, უძვირფასეს არემარეს. იგი დაინიშნა ცოტა ხანს თერგის ოლქში სახალხო სკოლების ინსპექტორათ, საიდანაც მალე ერივნის გუბერნიის სკოლების დირექტორათ იქნა გადმოყვანილი. უკანასკნელ ხანებში, იგი ქუთაისის გუბერნიის საოსტატო სემინარიის (ბონში) დირექტორათ მსახურობს.

*) ამ ნუმრისთვის დამზადებული კრიტიკა, უადგილობის გამო, ვერ ისტამბება.

*) ეს კაცი იყო ჩვენში ჟურნალ „იმედის“ დაარსების ინიციატორი, რომელიც წუთისოფელს უდროოთ გამოასალმა ერთმა სულით ავათმყოფმა, გვარათ, ღვინიაშვილმა. შემდეგ ნუმრებში ვეცდები, ამ ამბავს საქვეყნოთ ავზადო ფარდა. **ავტ.**

ბდა, სადაც მან თავიც ისახელა თვისი დიდი გამოცდილებით, ტალანტით, ცოდნით და სულგძელებით. თფილისის ქართული გიმნაზიის მეთაურებმა დააფასეს ღვაწლი მხცოვანი პედაგოგისა და ამ სამი წლის წინათ გიმნაზიის პედი მას ჩაბარეს...

1914 წ., როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის იმპერიაში გამოიცა ახალი კანონი, რომელიც ჩვენისთანა უბედიღბლო, დაჩაგრულერებს ანიჭებს უფლებას თავის საკუთარ დედა-ენაზე აღზარდონ თვისი შვილები, რათგან ღვიძლი დედა-ენა ითვლება დღეს პედაგოგიკაში საუკეთესო დიდ, მდიდარ, ცოცხალ იარაღათ მოზარდი თაობის გონება-გონების გასავითარებლათ.

ეი, სწორეთ ამ ახალმა კანონმა სიჭაბუკის ძლიერი ფთები შეასხა, დიდათ ააფრთოვანა ჩვენი მხცოვანი პედაგოგი ბატ. ალექსი ჭიჭინაძე და მან დასწერა სტატია: რიერაკზე საოქმელი, რომელიც იბეჭდებოდა ამ წლის ჟურნალ „განათლების“ №№ 7, 8 და 9-ში.

დღეს ეს სტატია ავტორს ერთ წიგნათ შეუკრავს, გამოუცია და სრულიათ მუქთად (ფასი არ აწერია) ურიგებს მკითხველ საზოგადოებას.

უნდა სიმართლე მოგახსენოთ, პირადათ, ჩვენ დიდი სიამოვნების და სიტკბოების წუთები განგვაცდევინა ამ წიგნაკის შინაარსმა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ახალი კანონის ძალით, ამიერიდან სრული ნება გვეძლევა სწავლების იარაღათ ვიქონიოთ ჩვენი საკუთარი დედა-ენა და ეს იყო მიზეზი, რო თფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად აზნაურობამ ერთხმათ გადაწყვიტა ქართულ ენაზე საგნების სწავლება ქართულს გიმნაზიებში.

ავტორი მკითხველს მოაგონებს მოკლე ისტორიას ქართული ეროვნული სკოლის აღორძინებისას 1879-1880 წ. წ. და გზა და გზა ცოცხლათ წარმოგვიდგენს ჩვენი განვლილი ცხოვრების ფაკტებს ამ ასპარეზზე ..

თფილისის და ქუთაისის ქართულ სასწავლებლებში სულ წინა პირველათ თავად-აზნაურთა შვილები იზდებოდენ. მარა ამ ქამათ იქ სწავლობენ ყველა წოდების და წრის შვილები და საქმით იგინი საერთო ეროვნულ სასწავლებლებათ გახდენო... ეს მოვლინება წარმოშვა თვით ჩვენივე ერის ბუნებრივმა მოთხოვნილებამ...

ავტორი აღნიშნავს, თუ, რა მძიმე პიროებებში იზდებოდა ქართული სასწავლებლები და თვით იგი, პირდაპირი, ერთი აკტივური ცოცხალი და მხურვალე მონაწილე ამ სასწავლებლების დაარსებისა, ზრდისა, გავითარებისა და აყვავებისა, კვალ და კვალ მიყვება მათ ისტორიას და შუქს ფენს იმათ დრამატიზმით სავსე და ნარ-ეკლით მოფენილ თავგადასავალს.

ავტორი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ისეთი მასწავლებლების მრომას, რომელნიც სასწავლო მასალას მხოლოთ ცუდი ნიშნების დასმით და დატუქსვით, დაშინებით აზეპირებენ მოსწავლე ყმაწვილებს და ამით ამ უბედურებს მუდამ პასივურ მდგომარეობაში აყენებენ და უჩლუნგებენ, პირდაპირ უსპობენ გძნობა-გონებას, მთელ სულიერ საუნჯეს და სიცოცხლეს.

„მდგომარეობა ერთი ორათ და სამთ უარესდება, რადესაც მასწავლებელი, რომელიც სამ საათზე დაბრუნდა შინ ქალაქის თამაშისა და მხიარული ვახშმის შემდეგ და ვერ მოასწრო კარგათ გამოძინება, ზის კათედრაზე და ამთქნარებს, თვალები ეხუჭება, კი ვერ დაჭარაგობს ამ დროს ადამიანური, დეჭვს ხოლმე სიტყვებს. თუ ვინმემ სიჩუმე და წესიერება დაარღვია, ვაი მისი ბრალი! მასწავლებელი ჯავრდება, მზათ არი ნაკუწ-ნაკუწათ აქციოს დამხამაგე, შექნის ერთ ვაი-ვაგლახს, დრაკონს. ამისთანა მასწავლებლის ხელში, რასაკვირველია, დადუნულია საგანი, რომელსაც იგი ასწავლის. მოსწავლეები ვერას იძენენ და კიდევ უარესი ის, რო სულ ფუჭდებიან. ღმერთმა აშორის ეოველ სასწავლებელს ამისთანა მასწავლებლები, გამოძინებულნი იქნებიან, თუ გამოუძინებელნი. სულ ბეეოეს შემთხვევაში, შესაძლებელია, ამ გვარმა მასწავლებელმა გაუზეპირებიოს თავის მოწაფეებს დადგენილი პროგრამა საგნისა, ხოლო, რაც შეეხება აღზრდას სულ ის სხვა და სხვა მხარეებისას, ხსენებულს გაკვეთილებზე სრულიათ არა კეთდება რა. პირიქით, მოწაფეები ფუჭდებიან, ირეგნებიან. მარტო გონების გავითარება, კიდეც რო შესაძლებელი იყოს ამ პირობებში აზროვნობის ვარჯაში და ცო-

ლნის შეძენა, რის მაქნისია? გონებით გაწრთვნილს უზრდელს, უსნეოს ისევ რეგვენი სჯობია-იმდენს ვერას აგნებს მოეკვასს...?

„...განახლების ხანა ეროველგან და ეროველთვის შეაითხოვს ერთგულ და თავდადებულთ, და ჩვენი საშვილო სასწავლებლებისთვისაც სწორეთ ამისთანა მუშაკნი არიან საჭირონი. დროთა გითარებამ გვარგუნა ამისთანა საპატივო რიდი, ვისაც გვიკისრნია მათში სამსახური და, თუ პირნათლათ არ ავასრულეთ ჩვენი ვალდებულება, პასუხის მგებელნი ვიქნებით ჩამოშავლობის წინაშე. შესანიშნავი წამია ეს ჩვენს ცხოვრებაში. საშვილიშვილო საქმეს ეურება საძარკველი და, აი ასპარეზი, სადაც სიტყვა საქმეთ უნდა ვაქციოთ. აღვიჭურვოთ ქართველთა ცხოვრების განახლების რწმენით, გულწრფელის განწყობილებით თვისი ვალდებულებისადმი, მტკიცე, შეურყეველი დისციპლინით საზოგადოებრივის საქმის სამსახურისთვის, შრომის მოყვარობით და გამარჯვება ჩვენი იქნება!..“

შემდეგ ავტორი ასწერს კლასის დამრიგებელის სავალდებულო შრომას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რო კლასის დამრიგებლებს მოწაფეთა მშობლების მაგიერობა აქვთ დაკისრებული.

საღრმთო-სჯულის მასწავლებლებმა ქართულ ეროვნულ სასწავლებლებში უნდა უკუაგდონ რუდაკოვების და სვიერელინების წიგნები და ხელსამძღვანელოთ გაიხადონ წმიდა-სახარება, გააცნონ ქრისტიანობის ისტორია საქართველოში, რო ღრმა, ცხოველი სიყვარული ჩაენერგოთ მოსწავლე ყმაწვილებს გულში დიდათ წამებულ ქართული ეკლესიისა. ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა ისწავლებდეს ჩვენს გიმნაზიებში ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნების მეტყველება, ფიზიკა, აოითმეტიკა, პრაკტიკული ვარჯიშობა და ხელ-საქმობა გეომეტრიაში, ბატვა და სხვა.

ამ ერთიან საქმიანობაში, ამ შრომის დუღილში, სულიერათ გართული ყმაწვილი ცუდ უბრალოთ ერთს წუთსაც არა კარგავს, ცუდის რისამე მოფიქრების დროც არ აქვს და არ უხერხდება. ამ გვარათ ნახელმძღვანელევი მოზარდი იმდენათ ეჩვევა და ეთვისება ნაყოფიერ საქმიანობას, რო მისი უსაქმოთ ყოფნა წარმოუდგენელიც არის. ყოველთვის ცდილობს რამე საქმე გააკეთოს, უსაქმოთ-უშრომლათ ვერ მოისვენებს. ამისთანა ადამიანი ხელ-ფეხ შეკრულიც რო დააგდო სადმე, იმდენს ეცდება, რო უეჭველათ, აიშვებს თავს და თავის ხელებს და თავის გონებას საქმეს აუჩენს.

ბატ. ალექსი ჭიქინაძე თავის ნაწარმოებში იგონებს ჩვენი სასწავლებლების ზოგიერთ გავლენიან ქართველებს, რომელნიც გაიძახოდენ: რათ გვინდა ამისთანა სასწავლებლები? რა სარგებლობა გვაქვს მათგან? რათ ვხარჯავთ ჩვენს საკუთარს ფულებს ზოგადი განათლებისთვის? ჩვენ, ქართველებს სულ სხვა ცოდნა გვინდა, ცოდნა რამ პრაკტიკული, ტექნიკური, აგრონომიული. ჩვენი ხსნა მხოლოდ და მარტო ამაშიაო...

1893 წ. გაზ. „ივერიაში“ დაისტამბა წერილი: „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“, სადაც სწორეთ ასეთი აზრები იყო გატარებული.

იმავე წელს დაარსებულ ჟურნალ „კვალის“ ფურცლებზე, თუ არ ვცდები, ჩვენმა სახელოვანმა პედაგოგმა, ალექსი ჭიჭინაძემ დასტამბა წერილი: „სწავლის საქმე ჩვენში“, რომელმაც იმ წამსვე მიიქცია მთელი ქართველი ცოცხალი ინტელიგენციის დიდი ყურათღება.

იქ, იმ სტატიაში „ივერიის“ ნიჭიერს პუბლიცისტს ავტორი უმტკიცებდა, რასაც ახლაც გაკვრით იხსენიებს, რო პრაკტიკული ცოდნა, ცოდნა აგრონომიული და სხვა, ფრიად საჭირო იყო და არი კიდეც ჩვენთვის. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. „მარა ამისთანვე ცხადია ამ შემთხვევაში ცალ მხრივობაც აგრონომიული და ტექნიკური განათლების მომხრეთა. გპატაცებულთ ბრაკტიკული მოსაზრებით სრული წარმოდგენა არ ქონდათ, რა არის სწავლა-აღზრდა, როგორც ეგეთია, როგორც შიდაანი რამ, როგორც სისტემა ადამიანის ფიზიკურის და სულიერის გავითარებისა. ფიზიკური და სულიერი გავითარების ბუნებრივი კანონები ერთ ნაირი არიან ეროველი ერისთვის და, მაშასადამე, ქართველ ერშიაც სწავლა-აღზრდაც იმავე კანონებს უნდა ემორჩილებოდეს. მოწინააღმდეგენი ზოგადი განათლებისა სწორეთ იქიდან იწყებდენ, სადაც ნამდვილი აღზრდა ითქმის გათავებული უნდა იყოს და იწყება თვით ნაყოფის ზრდა და სიმწიფე აგრონომიულ ტექნიკურის და სხვა სპეციალური ცოდნის სახით. იგინი ივიწყებდენ მას, რომ ამ ნაყოფის ზრდას და სიმწიფეს ეჭიდრება თვის შესაფერი ბაღი და ნიადაგი - საჭირო წინასწარი ზოგადი განათლება, ეროველ მხრივი გავითარება ადამიანის სულისა და ფიზიკური მხარეებისა, რომელიც მდგომარეობის ტანმთელობის სასადუში, ეეთილ გონობათ გადგიძება-გაძლიერებაში,

ბონების გავითარება-გამდიდრებაში და ნებაყოფლობის და სასიათის გამტკიცებაში. ამასთანავე წარმოობს შესისხლხორცებაც შრომის მოყვარობისა...

... ამგვარათ ადგრდა არი მიზანი ზოგადი განათლებისა და ამ მიზნისკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი საშვალო სასწავლებლების მოდგაწეობაც. ამისთანა სასწავლებლის მოწა

პროვინციელის შენიშვნები.

(წერილი პირველი).

მომწყინდა ქუთაისში ცხოვრებაც და გავსწიე სოფლებისკენ, პირდაპირ ბუნების წიაღში.

ოკტომბრის შვა რიცხვებში, გულით მომენატრა ზემო იმერეთისკენ მექნა პირი და წლეულდელი შემოდგომის ტურფა და ნაზი ჰაერით გამძღარვიყავი. ნასადილევს ჩავ-ჯექი კიდეც, ასე წოდებულ, სააგარაკო მატარებელში და .. გნაცელე...

მზე უკვე ჩასულიყო, რო ყვირილის სადგურში მატარებელი გაჩერდა და მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, მოყვრის და მოკეთის კარებს მივუკაკუნე.

— ოჰ! რამდენი ხანია, ჩემო ტკბილო მოყვარე, ერთმანეთი არ გვინახავს. მადლობა ღმერთს, რაცხა ამბავი უნდა იყოს. ალბათ, თათრები თუ უახლოვდებიან ქუთაეს, თორე შენ ასე ადვილათ რა დაგძრავდა...

—არა, ჩემო ოლიფანტე, გული დაიმ-შვიდეთ. მე თქვენი ნახვის ნატვრამ ამატრუა და ამასთანვე, ამ ღვინის საშინელი სიძვირის დროს, თქვენი მაჭარიც მომენატრა. ქუთაისში ამ საერთო უბედურებასთან ხოლერაც გაჩდა და მარტოხელ უცოლშვილო ადამიანს, აი, რუსები რო „სტარი ხალასტიაკს“ ეძახიან, გული შემიწუხდა, შიშმაც ამიტანა და ამ ტრაგიკულს წამში ზესტაფონისკენ გამოვსწიე, სადაც ერთი ხუმარას სიტყვით, თავი მოუყრია ყვირილას და შორაპანსაც...

—ყვირილას და ზესტაფონს ხვალ დილითვე იხილავ შენი ლამაზი, შავი თვალებით, ჩემო კარგო და შორაპანშიაც ავისეირნოთ, თუ ინებებ. ახლა-კი გარეთ გასვლას მე არ გირჩევ. მთელი ყვირილა-ზესტაფონი წყვდიადით არი მოცული, საცა იქნება ფეხს წაანტროვ და საცოდავათ გაითხლარშები გზაში. უპატრონო ადგილი, თუ გინდა, სწორეთ ეს ჩვენი დაბა-სოფელია. აქაური „დეპუტანტები“ ამ „პოსელენიის“ სისუფთავეზე, განათებაზე და სხვა რამ სანიტარულ გაუმჯობესობაზე სრულიათაც არ ფიქრობენ. ნეტაი, შენი კარგათ ყოფნით, ის ქუთეისის ხორელა აქ გაჩენილიყო, რო თავი მოეფხანათ მაინც ჩვენებს.

ამის შესახებ აქ კრებაც მოხდა ამ წინაზე, კრებაზე ნათლად გამოირკვა, რო „დეპუტანტებს“ ანგარიშები ძალიან „აპუნტული“ ქონიათ. მერე, იმკრებაზე, ბარე, ოცამდი სანდო პირიც ავირჩიეთ საქმის გამოსარკვევათ და გამოსაძიებლათ მარა რაი, მერე?! ისინიც, თურმე, არ იკრიბებიან და ანგარიშებს ვერ ასწორებინებენ ჩვენებურ ღიპიან ვაჭარაკანებს...

—აპა, ჩემო ოლიფანტე, ყვირილა—ზესტაფონის „ვანჭარები“ კი არა, ქუთეისის პირველი ღილდის „კუპეწებიც“ ვერ ახერხებენ ანგარიშების თავის გართმევას. ყოველიფერს ამ ქვეყანაში სწავლა და მეცნიერება უნდა. ხომ უყურებ, აგერ, გერმანიას. არა თუ საფრანგეთი, იაპონეთი და რუსეთი...დიდი ბრიტანიაც-კი, რომლის მრეწველობით კაკობრიობას თავი მოქონდა, შეშფოთდა ! გამწარდა...ახლა გერმანიას რო მთელი ქვეყნიერება გაცვიფრებაში მოყავს, ეს სულ სწავლა-მეცნიერებით, ტეხნიკით და მრეწველობით შობა ამას. და თქვენ, რავა გინდათ წეიყვანოთ თქვენი პატარა „გოროდის“--ყვირილა--ზესტაფონ--შორაპანის საქმე, თუ ეს საქმე უსწავლელებისა და უვიცების, პირდაპირ ყრუების ხელში იქნება...

მე თქვენ გირჩევთ, ჩემო ოლიფანტე, მოიქცეთ ისე, როგორც ამ შემთხვევაში აპირობს მოქცევას გორი, აი მატრაბაზთა გორი, კოტე სანოლიკუდოვისა და გიგო თუთუნოვის... გორი. გორს გადაწყვეტილი აქვს (თუ ჩვეულებრივ ჭორი არ გამოდგა) მოიწვიოს უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებული, გამოცთილი და წარბ-შეკრული მოღვაწე, რომელსაც, რა თქმა უნდა, საკმაო, შესაფერს ჯამაგირსაც დაუნიშნავს და იმუშავებს ისეთის სისტემატიურის მუშაობით, როგორც, აი, გერმანელებმა იციან ხოლმე მუშაობა...

თქვენც ასე უნდა მოიქცეთ, ჩემო ოლიფანტე და, აბა, მაშინ ნახავთ, თუ ანგარიშები აგებუწებათ, ყოველივე დღესავით ნათელი არ შეიქნეს, განათების, გასუფთავების, საზოგადოთ, მთელი სანიტარიის საქმე, როგორ წარმატებით წავიდეს თქვენს ყვირილა-შორაპან-ზესტაფონში.

მიუცილებლათ, ყოვლის მიზეზის გარეშე, ასე უნდა მოიქცეთ. მერე, რამდენია აქვე, თქვენშივე, თქვენი შვილები რუსეთის და უცხოეთის უნივერსიტეტებში

ნასწავლნი და აღზრდილნი, რომელთაც სხვა და სხვა ასპარეზზე საქართველოშიაც და სხვანაკ თავი სამართლიანათ ისახელეს...

მოიყარეთ თავი, მოილაპარაკეთ, აირჩიეთ მათშორის ერთი, ესე იგი, შეჩერდით ერთ სანდო პირზე, დაუნიშნეთ მას შესაფერი ჯამაგირი და მოიწვიეთ. გულდაჯეგბული ვარ, უარს არ იტყვის. თორე, თქვე დალოცვილებო, ფულების გამოღება გეზარებათ, ნასწავლ კაცებსაც ისე გაურბიხართ, როგორც—თათარი ღორის ხორცს და, რაღა სიკეთე უნდა დაგეყაროთ, ღმერთმანი, აღარც ვიცი.

ეს მუსაიფი დასრულებულიც არა გვქონდა, რო მეორე ოთახში ჩემმა ახლო ნათესავმა ქალმა დიასახლისმა ალერსიანათ შვენიერ ვახშამზე მიგვიპატიჟა.

მე და ოლიფანტეს მუსაიფის დროს, თურმე, გულკეთილ დიასახლისს ესტაფონში, რაც უკეთესი მომღერლები და საკრავებზე დამკვრელები არიან, აგრეთვე ზოგიერთი ნასწავლი ყმაწვილკაცებიც დაეპატიჟნა.

გავიცანით ერთმანეთი და შამოვუსხედით ყველანი სუფრას...

მდიდარი სუფრა, მართლაც, მადის აღმძვრელი და გამამხიარულებელი იყო. სხვა და სხვანაირ სანოვაგეს აშვენებდა კვალითის წითელი მაჭარი და ძველი ღვინო, რომელსაც თან სდევდა მრავალნაირივე ხილი: ლეღვი, ყურძენი, ვაშლი, სხალი, ბია და ატამი...

იოცახლეთ, ჩვენ იმ ღამეს დრო გავატარეთ. მთელი ღამე ახლანდელ საერთაშორისო ომზე და პოლიტიკაზე საუბრით გავატარეთ. თამადამ გადაწყვიტა, ვინც ქართულში უცხო სიტყვას გაურევს, მან ჩვენი ძმების-აჭარლების სასარგებლოთ ჯარიმა ერთი მანათი უნდა გადაიხადოსო.

იმ ღამეს, ჩვენ შორის, ოცდა ათი მანა თიც მოგროვდა.

პროვინციელი.

(შემდეგი იქნება)

ცოტა რამ.

ქართველ მამ. დიანების მწერლობა-ხელოვნების შესახებ, ბატ. ნ. თავდგირიძე ძალიან მნიშვნელოვან ამბებს აწვდის ჟურნალ „განთიადი“-ს მკითხველებს.

ქართველთა ყოველი კუთხის ძველი ამბავი საგულისხმო და მნიშვნელოვანია. მარა ამ დროს მაინც ქართველ მოძმე მამადიანთა კავშირი და ურთიერთობა ჩვენ შორის ძლიერ საგულისხმო, სასიამოვნო მოგონებაა ყველასთვის. ჯერ ჩემს ყმაწვილობაშიც, კარგათ მახსოვს, რო ქართველი მამადიანი ბეგები დადიოდენ ნაგომრის დღესასწაულზე, თავდგირიძეგუგუნავებისას. 15 დღით იცოდენ აქ ბაზრობა, 16-ი ივლისადან (ახლაც იციან) და, ამ ხნის განმავლობაში, მუდამ დღე ჯირითსა და შექცევაში იყვენ. მას მერე, არც იმდენი უხსოვარი დროა და თავდგირიძეების ოჯახებში მრავალი რამ იქნება მაშინდელი დარჩენილი, როგორც ლექსები, ისე სხვადასხვა თქმულება და ურიგო არ იქნება, რომ აღინუსხოს.

ბატ. ნ. თავდგირიძეს ერთი პატარა ლექსი აქვს ჟურნ. „განთიადში“ ხასან ბეგ თავდგირიძეზე, თ. ყარამან თავდგირიძის ნათქვამი. ეს ლექსი, მე რო გამიგონია, მხოლოთ ნაწყვეტია იმისი. ვფიქრობ, რო თლად ცოდნოდა ბატ. ნიკოს, სულ მოიტანდა ჟურნალში. ვგონებ, არ იქნება ურიგო, რო თლად მოვიტანოთ ეს ლექსი, ისე, როგორც მე გამიგონია:

ხასან ბეგი თავდგირიძე,
გარისხული ღვთისგან მეტი,
თათრის ფაშობა იშონა,
სულ თლად დაავიწყდა ღმერთი.
შეკვეთილში შამოვიდა
იძახოდა: ოლან გეთი,
—ლანჩხუთამდი მას ვაცალოთ,
მერმე, ჩვენ გვიყუროს ერთი.
კუღურღულებ*) დავუძახოთ
აღარ გავუშუათ ერთი.
ჩვენ ვიყავით მილიცია,

*) კუღურღულებ—რა არის არ ვიცი. ასე კი გამიგონია (ყგებ, „გურულებ“—იყოს. რ. ს.

რუსის ჯარი ძლიერ ცოტა;
ხასან ფაშა თავის ჯარით
წინ დაგვიხვდა, გვებოროტა.
პოლკოვნიკმა ერისთავმა
წინ გაუშვა ერთი როტა,
დიდხანს იყო დიდი ჩხუბი,
ხასან ფაშა მაშინ მოკვდა.
ხასან ფაშა ჩემი ძმაი,
თავმოჭრილი დავინახე....
თუმცა იყო მტერი მარა,
ვაი-მეთქი, დავიძახე!
წინ დღეებში მან გადამწვა,
მით მიეგო ცუდი მახე,
და, რათგან ჩემი ძმა იყო,
ბოლოს, მაინც მე დავმარხე.

ამ ლექს, იქნება, კიდევ ბევრი აკლდეს. თუ ვისმეს ახსოვს და შეავსებს, კარგი იქნება, რათგან მაშინდელ ერთ რამე წინადადებაში, შეიძლება, ბევრი რამ ამოკითხოს და გაიგოს კაცმა.

რ. საჯავახოელი.

შენიშვნები.

შედგენილია: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი. (თხზულებანი ეპ. ლეონიდის, პირველი ტომი, გამოც. 1914 წ.)

II *)

ანტონის შემდეგ, მართლაც ავდრები, საშინელი ავდრები ატყდა... და მხოლოთ დიდი ხნის შემდეგ, ამოაშუქა ისევ ბწყინვალე მზემ—გაბრიელმა... პიროვნება, როგორიც იყო გაბრიელი, მეტათ იშვიათი მოვლენაა უზარმაზარი კვეყნებისთვისაც, ხოლო პატარა საქართველოსთვის ის საოცნებო რამ იყო. მარა ის შვა საქართველომ, გაზარდა, იმსახურა და მანვე შეიწირა. ის იყო მუშაკი, საზოგადო მოღვაწე. მარა კაცმა რომ ასეთი პირი შეაფასოს, თავდა პირველათ უნდა აწეროს, თუ რა პირობები უწყობდა, ან უბრკოლებდა მას ხელს სამოღვაწეო ასპარეზზე, რო შეფასება ნამდვილი და ჭეშმარეტი გამოვიდეს. ეს რო ჩავიდინოთ, უნდა ავწეროთ გაბრიელის წინა მოადგილეები და მათ მიერ შექნილი ხანაც. მარა, ჯერ ერთი, ეს ამ წერილის მიზანს არ შეადგენს და, მეორეც, ჩვენ, ვით არა მეისტორიე, ვერიდებით ასეთი აწერით ვაწყენიოთ მკითხველის გძნობას. ვიტყვით მხოლოთ, რო გაბრიელს დახვდა სასულიერო ცხოვრების გზაზე გარდიგარდმო გადებული ფეხწასაცემი უშველებელი ლოდი და ყანაც ეკალ-ბარდ-ბურდით მოფენილი... ასე, რო გაბრიელი უბრალო მომაკვდავი ყოფილიყო, გადახედავდა, თუ არა თავის წინაშე მდებარე ასპარეზს, ჩამოუშვებდა დროშას და წინამოადგილეების გუნდს შეუერთდებოდა. მარა მას, ვით არა ჩვეულებრივ ადამიანს, ერთიც არ შეშინებია ათასი დაბრკოლებისა: კურთხეული მარჯვენით აამაღლა ტანჯვის ემბლემა--ჯვარი ქრისტესი, დასცა ლოდსა ფეხწასაცემს და მტვრათ აქცია იგი, დაბერა უმანკო სული და მტვერიც ქარს გაატანა. ხელთ იპყრა ,,იოანეს ცული'', გაიქნია და გაწალდა ბარდ-ბურდიც, ჭაობ ადგილებში ამოიღო კვლები, გააშრო, დაამზადა საყანეები და ხელიმიყო თესვას. თესლი კეთილი—დიდი მოძღვრება - სახარებისა უხვათ დააბნია თავის ყანაში, ქრისტეს მიერ ბოძებულ სამწყსოში, მოუარა, დაიცვა იგი მტერთაგან და მთელი ნახევარი საუკუნის ნაშრომი აღადანებული ყანა ჩააბარა ყანისავე უფალს...

ამბობენ, რო გენიოსები მხოლოთ ჩდებიანო. ეს მართალია. მარა ისიც ცხადია, რო ბუნებით ნიჭიერს, თუ შესაფერი აღზდა არ შეხვდა, თუ ის შრომის მოყვარე არ შეიქნა, გენიოსი ვერ გამოვა. ბძნულათ მოაზრეს უთქვამს: ,,გენია შრომა არისო''.—ხშირათ შევხვდებით ხოლმე ბუნებით ნიჭიერს, რომელსაც თვისი აღმატებული ტალანტი, ან უმნიშვნელოთ მოუკლავს თვისავე არსებაში, ან სიავეში გამოუყენებია. რატომ?—იმიტო, რო შრომის უნარი არ ქონებია და არ ქონებია იმიტო, რო თავიდან გონიერი აღმზდელი არ ყოლია. შენიშნულია და უტ-

*) იხ. „ᲗᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ'' № 14.

ყუარი აქსიომათაც მიღებული, რო, ვისაც ცხოვრებაში გენიოსობა გამოუჩენია, მას მშობლები კაი აღზდელები,ან შრომის მოყვარენი მაინც ყოლია... ჩვენი უკვდავი მგოსანი—აკაკიც ამის ხორცშესხმული მიგალითია. ის თვით ამჟღავნებს, რო სოფლათ, გლეხის ოჯახში, სადაც შეუწყვეტელი შრომა ტრიალობს, მარა სამაგიეროთ ბუნებრივი მხიარულობაც სუფევს, არ აღზდილვიყავი, ის არ ვიქნებოდი, რაც ვარო.—,,... სოფელში გაზდილი და ქალაქში მყოფ ბავშებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორიც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუაა. ეს უბედურობა ბედმა თავიდანვე ამაცთინა მე და ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავიო'', ამბობს აკაკი თავის ,,ჩემი თავგადასავალში''.— თუ გამზდელისას პატარა კაკო სულ ხვნა-თესვას, მკა-კრეფას და სხვა საოჯახო ფაცა-ფუცს უყურებდა, იღებდა მონაწილეობას, ითვისებდა და, წარმოიდგინეთ, მატყლის ჩეჩვაშიაც-კი იყო შენიშნული ძიძისგან, სასახლეშიაც არ დახვედრია ურიგო ამზრდელი დედა. აკაკის დედამ, როგორც აღზდილმა გონიერი ქართველი დედის ხელში და ფრანგის პატრების გავლენით, თვისი სიყვარული შრომისა და მოღვაწეობისა სავსებით გადასცა შვილს კაკოს. მარა გადასცა ფრიად გონივრულათ. საგულისხმოა ის მოხერხება აკაკის დედის, რომლითაც დააწყებია პატარა კაკოს წიგნის კითხვა.—,,... ჯერ ბრიყვი ხარ, არ შეგშვენის წერაკითხვაო, მითხრაო დედამ, როცა წერა-კითხვის სწავლა მოვინდომეო,—ამბობს აკაკი თვისი ,,ჩემი თავგადასავალში''.—როცა დაჰკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგექნება, მაშინ გასწავლი, თორე ჯერ შენ, რა ღირსი ხარო. ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჰკვიანებას, რო ჩემი ძმებსავით მეც წერა-კითხვის ღირსი გამხდარვიყავი. მეხარბებოდა სხვები რო კითხულობდენ და, ბოლოს, ჩემმა ბედმაც გასჭრა. ერთხელ, ჩემი უფროსი ძმა ღვდელს მოეხმარა და წირვაზე შვენივრათ წაიკითხა ,,სამოციქულო''. ნაწირევს დიდი და პატარა ყველა მის ქებაში იყო. მე-კი მეხარბებოდა და გული მწყდებოდა. ერთმა გლეხმა მკითხა:— ,,შენ როდის წაიკითხაო?''—ჩემ მაგიერათ მეორემ მიუგო:—,,როდინობის კვირეშიო!'' მივხთი, რო დამცინოდენ და მეწყინა. იმ დღეს ჩემს უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: კითხვა მასწავლე—მეთქი. იმანაც დამარიგა, დედამ არ გაგიგოსო და ჩუმათ დამაწყებია კითხვა. მოკლე ხანში ან--ბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დავიწყე. თუ აგრე კარგათ და გულ მოდგინედ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაგითხებო,—მეუბნებოდა ჩემი და,—დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო. ამ იმედით წახალისებულს დღე და ღამე მეტი აღარა მეფიქრებოდა-რა. რა ვიცოდი, თუ ეს დედი ჩემის ხერხი იყო, რო წერა-კითხვა შემყვარებოდაო.''—

მასწავლებელს ოსტატი ქვია და ოსტატობაც ასეთი უნდა.

მართალია, შემდეგს აღზდას (შკოლაში) აკაკი ემდურის და ამბობს, რო გიმნაზიაში სწავლა უკულმართად იყო დაყენებულიო. მარა ამ გარემოებას აკაკისთვის შრომის უნარი არ წაურთმევია, ვინაიდან მის ზენარს ნიჭს შრომისადმი სიყვარული თვით აკვნიდანვე ქონდა შესისხლხორცებული... რა იქნებოდა აკაკი, რო მას შრომა და მუყაითობა სძულებოდა? ენამოსწრებული უბრალო თავადი.—გულახდილათ უნდა აღვიაროთ, რო პირველ დაწყებითი აღზდა, რაც ძუძუსთან ერთად უნდა შეაწოვოს ბავშვს დედამ, კარგათ და გონივრულათ სწარმოებდეს ოჯახში, შემდეგ მას შკოლა (მხოლოთ ნამდვილი შკოლა-კი) გააუმჯობესებს და წარჩინებული პირებიც ერთი-ათად მეტი გვეყოლებოდა...

ილიას ცხოვრებაც, განა, შრომას არ წარმოადგენს?! ჩვენს მწერლებში, მგონი, ერთიც არ იყო და არ არის ისეთი, რომელსაც ილიასებური შრომა ეკისროს!... ცხადია, რომ ის აუტანელ შრომას ეწეოდა და კიდეც ამ შრომამ აიყვანა იგი საქართველოს მწერლობის კიბის უმაღლეს საფეხურამდი და არა მაინც და მაინც გასაოცარმა ნიჭმა. აი, რას

ვკითხულობთ ილიას ნიჭის შესახებ ჩვენი დიდი პუბლიცისტ--კრიტიკოსის ბატ. ნ. ნიკოლაძის წერილში: — („განთიადი“ 1915 წ. № 7) „...როგორც პიეტს, თავ. ილია ჭავჭავაძეს, თავ. აკაკი წერეთლის ნიჭის ნამცეცი-კი არ მოეპოება. მისი ლექსები ნახელოვნებია, მძიმე, არა მხატვრული და ბევრი ოფლითა და რიტორიკით გაჟღენთილი. ისინი, არა თუ თავისით, ბუნებრივათ არ ებეჭდებიან მკითხველის ხსოვნას და შეუწყვეტლათ არ გაისმიან ყურებში, გინდა თუ არ გინდა ჰათი დამახსოვრება მაინც, არამედ მაშინც-კი არ რჩებიან ხსოვნაში, როცა მოწაფესავით საგანგებოთ იზეპირებთ მათ. საქმის კარგათ მცოდნესთვის ეს ჩემი ნათქვამიც საკმარისია... და, მიუხედავათ ამ უსაზღვრო განსხვავებისა, თანამედროე ქართული ლიტერატურის ამ ორი კორიფეის ბუნებრივ ნიჭთა შორის, მაინც თ.ილია ჭავჭავაძემ და არა თ. აკაკი წერეთელმა დაიპირა ქართულ ლიტერატურაში პირველი ადგილი და მისცა მას მიმართულება სავსებით სწორი და შეურყეველი.“ — ამავე წერილის მეორე ადგილში ვკითხულობთ: — „შეადარეთ ერთმანეთს ორივე ქართველი მწერლის, არა მარტო ნიჭი, არამედ მათი მოღვაწეობაც. ერთი, შედარებით, ნაკლებათ დაჯილდოებული ბუნებისგან, ყოველთვის შეუსვენებლათ ავარჯიშებდა მთელი თავის ძალ--ღონეს, რო თვისი ნიჭისთვის მიეცა მთელი ის გავითარება და ძლიერება, რომელიც მისაწდომი იქნებოდა მისთვის. ნების, შეურყეველი ხასიათის და ცხოვრების მიზნების მპყრობელი, ის არ შეუშინდა შრომას, ამ უკანასკნელის მთელი სიმძიმეს და უფერულობას... ის სწავლობდა, კითხულობდა სხვა მწერლებს, იკვლევდა ცხოვრების საკითხებს და თვისი გონებრივი გავითარებით მის თანამედროე განათლებულ პირებს გაუთანასწორდა. შეიძლება აქ ის საზღვარსაც გადასცა, როცა ისეთს რასმეს მოკიდ ხელი, რასაც ამ გონებრივი მუშაობის დროს ყველაზე ძნელათ ერეოდა, რათგანც ეს ყველაზე ნაკლებ შეეფერებოდა მისი გონების თანდაყოლილ თვისებებს, სახელდობ, გადამეტებულ მსჯელობასა და ფილოსოფიას. მარა ეს არ არის საყურადღებო. უმთავრესი ის არი, რო მწერალი სწავლობდა, ცოდნით იჭურვებოდა და მუდამ გარკვევით ახსოვდა, რო თან დაყოლილი ნიჭი, ჭკუა მხოლოთ ამ გზით მოიპოვებს ბელადობას თანამეროეებზე, გავლენას ჩამომავლობაზე და მან ყველა ამას ზედმიწევნით მიაღწია. მიაღწია იმიტო, რო თვის თანა მემამულეთა შორის,ის იყო თითქმის ერთად-ერთი მოღვაწეებით, შეურყეველი ხასიათითა და შრომის მოყვარობით დაჯილდოებული...“

ესვე ითქმის სწორეთ ანტონზე დ. გაბრიელზედაც. ციური ნიჭით უხვათ დაჯილდოებულ ბავშს ანტონს (ერის კაცობის სახელი არ ვიცით) ზდიდა გონიერი დედა, რაჭის ერისთავის შოშიტა III ქალი გულქან, რომელსაც, თურმე, დიდი გავლენა ქონდა სასახლეში. (ანტონი იყო ძე დადიანის ოტიასი, ძმა კაციასი, რომელიც დადიანობდა 1744 — 1788 წ.) როგორც ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, დედა ანტონისა იყო მეტის-მეტათ ნიჭიერი, კარგათ აღზდილი, გონიერი, შორს მჭვრეტელი და პოლიტიკურათაც მომზადებული ქალი და, როგორც ასეთი, მისი თვით პოლიტიკური მოსაზრებებსაც დიდი ფასი ქონდა სასახლეში. ამასთანვე, ის იყო აუტანელი შრომის მოყვარეც: ჯერ კიდევ გათენებამდი ლოცვას იწყებდა, თურმე, რასაც ათავებდა მაშინ, როცა სასახლის მოსამსახურეების გაღვიძების დრო იქნებოდა და სწორეთ დროზე დააყენებდა მათ საქმეზე, თვისი დათითება — ზედამხედველობით. თუ ვინმე მოსამსახურეთაგანი ისე არ მუშაობდა, როგორც მოსაწონი იყო, ის თვითონ კიდებდა ხელს სამუშაოს და ასწავლიდა, თუ როგორ უნდა გაკეთებულიყო ეს, თუ ის საქმე. — ერთხელ, სამოახლო სახლის დაგვაში მიუსწრო, თურმე, მხეცელს, რომელიც ცოცხს აქით — იქით აპარტყუნებდა და კარგათ ვერ გვიდა. გამოართვა ცოცხი და თვით დაგავა, შიშით აკანკალებული დედაკაცის ოვალის წინ... როცა ერთხელ და სამუდამოთ გაკვეთილ თვისი დილის სამუშაოს ათავებდა, თუ ზაფხული იყო, მის საუ-

ცხოვრ ბოსტანს ეწვევოდა, თურმე, რომლის გაკეთებაში არც ერთი მუშათაგანისგან არ ითხოვდა დახმარებას.—,,ბოსტნის გასაკეთებლათ მამა კაცს არ უნდა სცალოდეს, ის დედაკაცების ხელიდან უნდა გამოდიოდესო'', იტყოდა, თურმე, ნეტარხსენებული. ასეთი რამეების უნახავ—უჩვეულო, მოსამსახურეებს უკვირდათო, პირველ ხანებში, როცა წაკაბიწებული და ტალახით მოსვრილი ხელებით გამოდიოდა დედოფალი ბოსტნიდანო... შემდეგ-კი, უბრუნდებოდა ხელსაქმეს: ქარგვა—კერვა—ქსოვა და სხვა... საღამოობით-კი, ვით დილით, მოსამსახურეებში ფუსფუსებდა და, შემდეგ, ისევ ხანგრძლივი ლოცვას უბრუნდებოდაო,—ბვესმის სასახლის შტოდან გამოსული მოხუცი თავადთაგან—ასეთი დედის ხელში გაიზარდა ანტონი და მისგანვე შეითვისა აუტანელი შრომის მოყვარობა. ბუნებამ გასხვავებული ნიჭი მისცა მას. დედამ--კი ასეთივე შრომის მოყვარობა ჩაუნერგა და, რაღა საკვირველია, რომ ის უბრალო მომაკვდავებისგან გასხვავებულ იყო.

კირილე წუთისოფლელი.

(შემდეგი იქნება).

„ვეფხის ტყაოსანი" რუსულათ.*)

,,თეატრი და ცხოვრება წერს''

მრავლათ თავმოყრილ საზოგადოების შორის ერთი უსინათლო, ორივე თვალით ბრმა ჰაბუკიც შევნიშნე: დარბაზის კუთხეში მიმდგარი სმენა-გამახვილებული, შინაგანის ლტოლვით აღგზნებული, ტურფა ასულისკენ მიიწევდა გასწორგასწორა; ამოშრეტილი თვალის ბუდეებით, რასაკვირველია, ტურფას ვერ ამჩნევდა, ხოლო კედელს მიტკაცული გაოცებული ასული კრთოდა: ეს ბრმა ძალა თითონ თუ ვერ შემნიშნავს და მოკრძალებით არ მოგეპყრობა, თავი მაინც როგორ დავახწიოო!..

ეს იყო „არტ. საზ-ის" თეატრის დარბაზში, 3 ღვინობისთვეს, კ. ბალმონტის მიერ გამართულ შოთა რუსთველის საღამოზე.

ამ სურათმა უნებლიეთ გამითვალსწინა ჩვენი მწერლობა-კულტურის ყვავილოვანი ხანის ვვირგვინი შოთა და რუსეთის მოაზროვნე საზოგადოება.

ნაწილი მისი თითქო იდუმლათ მოიწევდა ჩვენი წარსულის შეგნებისკენ. მარა საგანს ტრფიალისას-კი ვერ ხედავდა; გძნობდა, რო თავისუფლათ შენაერთ ქვეყნის—საქართველოს წარსულში იყვენ დიდებულნი კაცნი, მათ შორის შოთა რუსთველი, სამეალ საუკუნეთა ევროპაში სიყვარულის პირველი ჯვაროსანი, ახლო კი არავინ ეცნობოდა მის სულიერ აღლადიდებას, ანგარიშს არავინ უწევდა: სიტყვით საქართველოს რუსეთის გვირგვინის ძვირფას თვალათ აღიარებდენ, საქმით-კი მის წარსულს აფუჩეჩებდენ, აწმყოს ფეხქვეშ თელავდენ...

ხოლო, როდესაც ინგლისის სახელგათქმულმა ქალმა, ნეტარ ხსენებულმა მისს მარჯორი უორდროპმა ჩვენი დიდების შოთას შემოქმედება —„ვეფხის ტყაოსანი" ინგლისურათ გადათარგმნა, რუსეთის სახელოვანმა შვილმაც მაშინ გაიცნო, ისიც შემთხვევით, ოკეანზე მოგზაურობის დროს.. იცნო და შეიყვარა, ვითარცა მზე—სიცოცხლის მწყურვალმა ბუნებამ... მგოსანმა იცნო მგოსანი და გადაწყვიტა გადათარგმნოს მისი შემოქმედება თანამემამულეთა თვალთა ასახილავად: აჰა, იხილეთ საქართველოს მნათობი, დიდება მეთორმეტე საუკუნისა, რომელმაც სიყვარულის უდიდებულესი ძეგლი შექმნა მაშინ, როდესაც ევროპაში ამაზე ჯერ არავინ ამეტყველებულიყო..

რუსეთის ეს სახელოვანი შვილია მგოსანი კონსტანტინე ბალმონტი, გძნობა-ნაზი, ენამარგალიტი, გონება-მახვილი, მართალია, ჩრდილელი, მარა სამხრეთის ჰავით გამთბარი...

თავის მხატვრულ სიტყვაში მგოსანმა მკაფიოთ გაარკვია დიადობა შოთასი, ქართული ენის განსაკუთრებულ თვისებათა მიზეზები; აღნიშნა ისიც, რაც უნდა კარგი თარგმანი იყოს, დედანს ვერ შეედარებაო. მით უმეტეს შოთას ნაწარმოების თარგმნაა ძნელია, მარა—მე მიყვარს ძნელის მიახლოვება და მისი ძლევაო...

შესავალი სიტყვის შემდეგ, მან წაიკითხა „ვეფხის ტყაოსანი"ს რავდენიმე თავი და ზოგიერთი ნაწყვეტი.

თარგმანი დედნის მაგიერობას ვერ სწევს..

*) იხ. „განთიადი", № 16.

დედანში თუ აზრთა სიღრმეს, შედარებათა სილამაზეს, ყოველ პწკარში რაღაც იდუმალ დიადობას ხედავთ და გძნობთ. თარგმანში ისმენთ შვენიერ ლექსთწყობილობას, საუცხოოთ გალექსილ ამბავს... თითქო შოთას სიგძე-განი რუსულ ენას ვერ დაეუფლოს... შოთას თარგმნა მესამე პირით არ შეიძლება, არც ის კმარა, მხოლოთ სიტყვები გადაიღო პირდაპირ, — აქ ენის სულის, განსაკუთრებით შოთას სტილის შეთვისებაცაა საჭირო... პატივცემულ მგოსანს კ. ბალმონტს-კი, როგორც ჩანს, თარგმნის თარგმნით უსარგებლნია.

მიუხედავათ ამისა, ჩვენდა საამაყოთ და პატივცემულ მგოსნის სადიდებლათ უნდა ითქვას, რო თარგმანი შიგა და შიგ — საუცხოოა, გასაოცარი მოხდენილობით გადაღებული: რაც შეეხება შოთას ბძნულ სიტყვებს — დამაკვირდებს, ზოგი სიტყვა სიტყვითაც კი არის გადაღებული... მარა მაინც, რაღაც წყალწყალაა, — ის სიძლიერე და სხარტათ გამოთქმა, შოთას რო ჩვევია, თარგმანში ვერ შევნიშნეთ (სმენის დროს). შოთას ბძნული სიტვები მთელი რვა საუკუნე ქართული ხალხის სამუდამდღეო ანდაზებათ გადაიქცა, უცილობელ ჭეშმარიტებათა გამომხატველათ, და სასურველია მათი ხაზგასმით გადაღება...

რავდენადაც პირველი მოსმენით შეიძლება დავასკვნათ, თარგმანის ენა მდიდარია, პოეტურ ფერადოვანი, ლექსთწყობა მრავალ რითმოვანი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რო დღეშდი შოთას ასეთი ენა მზიანი, შეგნებული მთარგმნელი არავინ გამოჩენია.

მისი თარგმანი რუსეთის საზოგადოებას გააცნობს, პატარა საქართველო დამოუკიდებლობის ხანაში, რა ბუმბერაზ შვილებს ზდიდა... გააცნობს და აგულისხმებს, რომ უფრო ღრმათ ჩაუკვირდენ დღის... ხოლო ოდესმე საშოთხის დარათ ყოფილ საქართველოს შვილებს. კ. ბალმონტის ღვაწლი კიდევ იმითია ღირსსაყურადღებო, რო გარუსება-გადაგვარების გზაზე შემდგარი ქართველობა ახლა მაინც გაიგებს, რა განძი გვქონია, რა ზნეობის, გონებისა, თუ სიყვარულის სახარება, და მშობლიურ ლიტერატურას უფრო თავგამოდებით დაეწაფება.

მადლიერი ქართველი საზოგადოება დიდი ზეიმით შეეგება რუს მგოსანს: მიართვა შოთა რუსთველის დიდი პორტრეთი, დაფნის ჩარჩოში, ვარდებით მორთული და ქართველი მწიგნობარ-მოღვაწეთა წარწერებით შემკული. საღამოს დასასრულ, დამსწრეთ ბალმონტი გამოიხმეს და თხოვეს საკუთარი ლექსი წაეკითხა. მარა ბალმონტმა მიუგო — „რუსთველის შემდეგ აღარაფერი წაიკითხებაო“. ამ დროს ვიღაც აღიტინებულმა წამოიძახა: „ბალმონტი რუსთველზე მაღლაააო“, ამაზე ბალმონტს სახეზე ღრუბელმა გადაკრა, თავი გააქნია და მიუგო — „არა! ეს მართალი არ არი!“ საზოგადოებამ მაინც ორი ლექსი წააკითხა (ერთი მათგანი, „საქართველო“, ჩვენს ჟურნალში იყო დაბეჭდილი).

უგულთადესი სალამი ძვირფას, ენა-ვარდოსან მგოსანს: საქართველოს ძენი მუდამ მადლობით მოიხსენიებენ მის სახელს.

ვუსურვებთ მალე დაეგვირგვინებიოს თვისი ძვირფასი თარგმანი და გამოექვეყნებიოს კიდეც, რო გძნობა უსინათლოებსაც მოეფინოს სიყვარულისა და შვენიერების უშრეტი შუქი.

რუსეთის სოციალისტების მოწოდება.

გაზ. „რეჩ“-ში დასტამბულია გ. პლეხანოვის, ლ. დეიჩის, გ. ალექსანდროვის, ბახის, ბუნაკოვის, ნ. ავქსენტიევის, ბ. ვორონოვის და სხ. მოწოდება.

„ჩვენ, ამაზე ხელის მომწერნი, რუსეთის სოციალისტური აზროვნების სხვა და სხვა მიმართულებას ვეკუთვნით. ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით ერთმანეთს. მარა სულითა და გულით ვურიგდებით ერთმანეთს ერთ რამეში; სახელდობ, რო რუსეთის გერმანიისგან დამარცხება მოასწავებს რუსეთის დამარცხებას მისი თავისუფლებისთვის ბძოლის საქმეშიც. ამიტომ დარწმუნებული ვართ, ჩვენი თანამოაზრენი რუსეთში, აუცილებლათ, გაითვალისწინებენ ამას ღა ერთმანეთს დაუახლოვდებიან, რომ ემსახურონ თავის ხალხს იმ დროს, როცა იგი საბედისწერო განსაცდელშია.

მოვუწოდებთ შეგნებულ მუშებს, გლეხებს, ხელოსნებს, ნოქრებს—ერთი სიტყვით, ყველა იმათ, ვინც ოფლითა თვისითა პურს მოიპოვებენ და რომელნიც იტანჯებიან, მოკლებული ქონებრივ ძალღონეს; ვინც პოლიტიკურ უფლებას აყრილია. ის, ვინც იბძვის უკეთესი მომავლის მოახლოებისთვის.

გულითად სალამს ვუძღვნით მათ და დაბეჯითებით ვთხოვთ:

მოგვისმინეთ ჩვენ ამ საბედისწერო ხანაში, როცა მტერმა დაიპყრო რუსეთის დასავლეთი ზღვის დამცველი ციხე-სიმაგრეები, დაიკავა დიდძალი ტერიტორია რუსეთისა და მილიტვის კიევისა, პეტერბურგისა და მოსკოვისკენ, ე. ი., როცა მტერი ემუქრება რუსეთის საზოგადო ცხოვრების მთავარ ცენტრს.

წინათაც გამოუცდია ჩვენ სამშობლოს ამისთანა დღეები და გადაუტანია სისხლითა ⁄ ცეცხლით მოზღვავებული საშინელება მტრის შემოსევისა. მარა თავის დღეში არ შეხვედრია მტერი კარგათ შეიარაღებული, ასე კარგათ მომზადებული მტერი, რომელსაც ასე კარგათ გათვალისწინებული აქვს თვისი მხეცური პლანები.

ჩვენი სამშობლოს მდგომარეობა უმაღლეს წერილამდი საშიშარია. და, ამიტომაც, რუსეთის მშრომელი ხალხის ყველა შეგნებულ შვილებს უსაზღვრო პასუხისმგებლობა გვაწევს კისრათ. თუ კი თქვენ დაარწმუნებთ თქვენ თავს, რო თქვენთვისა და თქვენს, უფრო ნაკლებ შეგნებულ, მოძმეთათვის სულ ერთია, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს ამ საერთაშორისო უდიეს შეტაკების დროს, მაშინ გერმანია რუსეთს ფეხქვეშ გათელვას და არც ჩვენ მოკავშირეთ დაეყრებათ ხეირი. ამას ფიცი და მტიცება არა სჭირდება.

ხოლო, თუ თქვენ, პირიქით, იმ აზრს დაადგებით, რო რუსეთის დამარცხებას ძალიან ცუდი შედეგები მოყვება მშრომელი მასის ინტერესებისთვის, თუ თქვენ ყოვლის ძალითა ⁄ ღონით ქვეყნის თავდაცვის საქმეს ხელს შეუწყობთ, მაშინ მას და მის მოკავშირეთ შეუძლიათ თავი დააღწიონ საშინელ მდგომარეობას. მაშ, კარგათ ჩაუკვირდით დღეინდელ საქმეთა ვითარებას.

დიდ შეცდომას ჩაიდენთ, თუ წარმოიდგენთ, რო მუშა ხალხს არა სჭირდება თვისი ქვეყნის დაცვა, ნამდვილათ კი არავის ინტერესები არ ჩავარდება ისეთ განსაცდელში მტრის შემოსევის დროს, როგორც მშრომელთა ინტერესები...

პრუსიის და საფრანგეთის ომი 1870—71 წლებში საფრანგეთის დამარცხებით დამთავრდა და ყველაზე უფრო, რასაკვირველია, მშრომელმა ხალხმა წააგო, რათგან არაპირდაპირი გადასახადი მოუმატეს, და ეს კი მშრომელ ხალხს დააწვა კისერზე. ეს-კიდევ ცოტაა. თვით უფრო სამწუხარო და მავნებელი შედეგი ამ ომისა იყო საფრანგეთის ნორმალური ეკანომიური ზრდის შეჩერება—ერთი სიტყვით, საფრანგეთის დამარცხებამ ცუდი გავლენა იქონია მშრომელი ხალხის მაშინდელ ინტერესებზე.

რუსეთის დამარცხება უფრო მეტს ვნებას მოუტანს ჩვენს ხალხს, ვიდრე საფრანგეთის დამარცხებამ მოუტანა საფრანგეთის ხალხს.

ახლანდელ დროში ომს უფრო, მეტათ დიდი ხარჯები სჭირდება. რუსეთი ეკანომიურათ ჩამორჩენილი ქვეყანაა და მისთვის უფრო ძნელია ამ ხარჯების ატანა, ვიდრე მდიდარ ევროპულ სახელმწიფოებისთვის. რუსეთის ხალხს ომის წინათაც უღლათ აწვა მძიმე სახელმწიფო ვალი. ახლა ეს ვალი ყოველი საათობით იზდება და თანც რუსეთის თვალუწვდენელი მიდამოები ოხრდება: გერმანელებმა, თუ საბოლოოთ გაიმარჯვეს, ჩვენგან დიდძალ კონტრიბუციას მოითხოვენ. ამასთან შედარებით სულ არაფრათ მოეჩვენება კაცს ოქროს მადანი, რომელიც 1871 წელს შემდეგ, დამარცხებულმა საფრანგეთმა ძლევამოსილ გერმანიას გადასცა.

ამით საქმე არ გათავდება. გერმანიის იმპერიალიზმის გულახდილი და რადიკალური მესვეურები ახლავე იმას ამბობენ, რო რუსეთს უნდა ჩამოერთვას დიდძალი ტერიტორია, რომლის მცხოვ ებნი ახლავე უნდა აიყარონ, რო გერმანელთა კოლონიზაცია ხელშეუშლე-

ლათ მოეწყოს ამ ადგილებშიო. თავის დღეში არცერთ მტარვალს, რომელსაც უფიქრია დაპყრობილ ერთა გაძარცვა, არ გაუბედავს ამგვარი ცინიზმით სავსე პლანების გამოაშკარავება.

მარა ჩვენი დამმარცხებელნი არც ამასიკმარებენ, არ დაკმაყოფილდებიან მარტო რუსეთის დასავლეთი პროვინციების ხელში ჩაგდებით. ისინი ჩვენთვის დამღუპველ სავაჭრო ხელშეკრულობას შეგვაკრეკენებენ. ჯერ 1904, ში ისარგებლა გერმანიამ რუსეთის გაჭირვებული მდგომარეობით და ამ გვარი ჩვენთვის საზარალო სავაჭრო პირობები დაგვიდვა.

ეკანომიური მხრით რუსეთი გერმანიის კოლონიათ გადაიქცევა. რუსეთში მომავალი ეკანომიური გავ�arება საშინლათ შეფერხდება, თუ სულ არ შეჩერდება; მიწის მუშები, რომელნიც, შიმშილის გამო, იძულებული გახდებიან სამრეწველო ცენტრებში ეძიონ სამუშაო, ვერავითარ სამუშაოს ვერ იშოვიან და ლუმპერპროლეტართა, ან ბოსიკათა რაზმებში მოექცევიან. გერმანიის გამარჯვება ნიშნავს რუსეთის მშრომელი მასის დიდი ნაწილის გადაგვარებას და გათახსირებას. ხეირს გერმანიის გამარჯვება არც რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების მშრომელ ხალხს დააყენებს.

გვინდა თქვენი ყურათლება მივაქციოთ შემდეგ ვალდებულობაზედაც.

ინგლისმა, საფრანგეთმა და თვით ბელგიამ და იტალიამ პოლიტიკურათ დიდათ წინ გაუსწრეს გერმანიის იმპერიას, რომელსაც ჯერ პარლამენტარული რეჟიმიც ვერ დაუწესებია. გერმანიის გამარჯვება ამ ქვეყნებზე ნიშნავს ძველის ახალზე გამარჯვებას, თუ თქვენთვის ძვირფასია დემოკრატული იდეალი, მაშასადამე, უნდა ისურვოთ დასავლეთი ევროპის, ან ჩვენი მოკავშირეების გამარჯვება.

თქვენ რო ამ ომს გულგრილათ მოეკიდოთ, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რო თქვენი პოლიტიკურათ თავის მოსპობა გაქვთ განზრახული. პროლეტარიატისა და გლეხობის არსებითი ცხოვრების ინტერესები გავალებთ თქვენ — აკტივური მონაწილეობა მიიღოთ ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

...თქვენი ლოზუნგი უნდა იყოს გარეშე მტრების დამარცხება. ამგვარი გამარჯვებისკენ უნდა მიილტვოდეთ და ამ ლტოლვაში გათავისუფლდება და გაძლიერდება ცოცხალი ძალა ხალხისა. ამ ლოზუნგით გამსჭვალული თქვენ უნდა შეიქნეთ ბრძენნი, ვითა გველი. მართალია, თქვენს გულში ანთია ცეცხლი კეთილშობილი აშფოთებისა, მარა თქვენ თავში უნდა მეფობდეს ცივი პოლიტიკური ანგარიში. უნდა გახსოვდეს, რო გადაჭარბება ზოგიერთ საქმეში უარესია, ვიდრე გულგრილათ ყოფნა.

ყოველგვარი ექსცესი იმ ჯარის ზურგს უკან, რომელიც მტერს ებძვის, მოღალატეობას უდრის, იმიტო, რომ იგი ხელს უწყობს გარეშე მტერს.

რასაკვირველია, ომის ქარტეხილი რუსეთის მრეწველებს უფრო უანგაროთ ვერ გახდის, ვიდრე ისინი ომის დაწყებამდი იყვენ. სახელმწიფო, ჩვეულებისამებ, ყოველთვის დიდი სიფრთხილითა და მზრუნველობით მოეკიდება კაპიტალის ინტერესებს და არავითარ ყურათლებას არ მიაქცევს დაქირავებული მუშის ინტერესებს. თქვენ სრულიათ სამართლიანათ აგაღელვებთ და აგაშფოთებთ მგვარი მათი საქციელი. მარა, თუ ოდესმე მოინდომებთ გაფიცვით აგოთ პასუხი მათ მოქმედებაზე გაიხსენეთ, რო რუსეთის თავდაცვის საქმისთვის ამგვარი თქვენი გადაწყვეტილება მავნებელია.

კერძო უნდა დაექვეადებაროს საზოგადოს. ყოველი ქარხნის მუშებმა უნდა მუდამ იქონიონ მხედველობაში, რომ უდიდეს ცოდვას ჩაიდენენ, როცა პირათ, კერძო ინტერესს საზოგადო ინტერესზე მაღლა დააყენებენ. არ უნდა დაივიწყოთ, რო გერმანიის გამარჯვება ზიანს მოუტანს მთელი რუსეთის პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას.

ტაკტიკა, რომელიც გვეუბნება: „ან ყველაფერი, ან არაფერი“ — ანარქისტული ტაკტიკაა და პროლეტარიატისა და გლეხობის შეგნებულ წარმომადგენლებს სრულიათ არ შეეფერება.

გერმანიის სამხედრო შტაბი სიხარულით მიიღებდა იმ ამბავს, რო ზემოხსენებულ ტაკტიკას ითვისებენ ეს ელემენტები. დაგაწმუნებთ, ეს შტაბი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ჩვენში ამ ტაკტიკის მქადაგებელთ. მას სჭირდება არეულობა რუსეთში, მას ჭირდება გაფიცვები ინგლისში, მას სჭირდება ყოველივე, რაც ხელს უწყობს მის სამხედრო პლანებს.

მარა ჩვენა გვწამს — არ მოინდომებთ

გერმანის შტაბის გახარებას. ნუ დაივიწყებთ სიტყვებს: „რასაც მტერი გვირჩევს, უთუოდ ცუდია“. თქვენ უნდა დაადგინოთ, რო თქვენმა წარმომადგენლებმა მიიღონ ენერგიული მონაწილობა ყველა დაწესებულებაში, რომელსაც ახლა მტერთან საბძოლველათ აარსებენ. თქვენმა წარმომადგენლებმა უნდამიიღონ შეძლებისდაგვარათ მონაწილობა, არა მარტო სპეციალურ ტეხნიკურ დაწესებულებებში (სამხედრო სამრეწველო კომიტეტი და სხ.), რომლის მიზანიც არის ჯარის საჭიროების დაკმაყოფილება, არამედ ყოველივე საზოგადობრივისა ან პოლიტიკურ ხასიათის ორგანიზაციებშიც.

გახსოვდეთ, რო თავისუფლებას მივაღწევთ მხოლოთ ნაციონალური თავდაცვის გზით.

მოკავშირეთა დიპლომატიის დამარცხება.

პარიზიდან იწერებიან: ერთ და იმავე დღეს ევროპის პრესამ ხმა ამოიღო ორ საგარეო საქმეთა მინისტრის—დელკასეს და ედუარდ გრეის გადადგომის შესახებ. დელკასეს გადადგომა დღეს უკვე ფაქტია. რაც შეეხება გრეის, მის შესახებ ჯერ გარკვეულათ არაფერი ითქმის. რამ გამოიწვია ეს ორი ფაქტი, რამ აიძულა დელკასე კაბინეთიდან გასულიყო?

მიზეზი ერთია—ბალკანეთზე ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის დამარცხება. ბევრი შეცთომა დაუშვეს, ბევრჯელ ვერ გაითვალისწინეს საქმის ნამდვილი ვითარება. პირველი შეცდომა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მოუვიდათ, როცა „გებენი“ და „ბრესლაუ“ ინგლის-საფრანგეთის ესკადრას გაექცა და მარმარილოს ზღვას თავი შეაფარეს. საჭირო იყო მოკავშირეთა ესკადრა შეეკრიბიყო დარდანელში, რომელიც მაშინ კიდევ გაუმაგრებელი იყო, რომ ოსმალეთს ომის ბოლომდი ნეიტრალიტეტი დაეცვა. ეს არ მოხდა, დიპლომატიის წყალობით.

ოსმალეთთან ომის დაწყებამ კონსტანტინეპოლისა და დარდანელის საკითხი წამოაყენა. რუსეთი კონსტანტინეპოლისა და დარდანელის ხელში ჩაგდებას ლამობდა. ამან დიდი შიში გამოიწვია ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებში.

ამ მომენტიდან იწყება დელკასე-გრეის ლდიდესი დიპლომატური მუშაობა. ამ მოლაპარაკებაში აღმოსავლეთის პოლიტიკოსებმა გაუსწრეს დასავლეთის დიპლომატებს. აღმოჩდა, რო ბულღარეთი ათამაშებდა დელკასე-გრეის. რათგანც სწორეთ ამ მოლაპარაკებას წინ ბულღარეთი გერმანიას შეთანხმებოდა. როცა დელკასემ და პარლამენტის „საგარეო საქმეთა კომისიამ“ გაიგეს, რო ბულღარეთმა გაასულელა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატია, წინადადება მისცეს საფრანგეთის მთავრობას, დაეცვა სერბია ბულღარეთის თავდასხმისგან. მარა დიპლომატები იმედს კიდევ არ კარგავდენ. ისინი დარწმუნებული იყვენ, რო რუმინეთი და საბერძნეთი სერბიას გამოესარჩლებოდენ, დღეს არც ერთს ვხედავთ, არც მეორეს.

როცა საბერძნეთი ნეიტრალიტეტის გზას დაადგა და ამით ფაქტიურათ გააბათილა სერბიასთან ხელშეკრულება, მაშინ დელკასე დაფთხა, მას შეეშინდა, რო მოკავშირეთა დესანტი ხაფანგში მოემწყვდებოდა და გადადგა კიდეც. *) მას წამდა, რო მხოლოთ იმ პირობებში გაიმარჯვებდენ ბალკანეთში მოკავშირენი, თუ ამ უკანასკნელთ საბერძნეთი და რუმინეთი მიეშველებოდენ. ეს ასე არ მოხდა... დელკასე-გრეის პოლიტიკა დამარცხდა... და დელკასემაც გადადგომა არჩია.

უსვი შემოწირულება.

ბატ. ალექსანდრე ყიფშიძეს შემომწირველისგან, რომელსაც არა სურს თვისი ვინაობა გამოაჩინოს, მიღებია 4-500 მან. ... ქაღალდები და წერილი შემდეგი შინაარსისა:

*) ბულღარეთის როდოსლავოეი, აი, რას ამბობს ამის შესახებ: სერბიელებმა ვერ დაიწყეს ბულღარეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება თავის დროზე, რათგანაც შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატიამ მათ აუკრძალა იარაღის ხმარება. ჯერ კიდევ ადრე ეგონათ და დიპლომატურ ხერხებით ცდილობდენ ბულღარეთთან საქმის გათავება. მე ვფიქრობ, რომ, აი, ეს აკრძალვა შეიქნა დელკასეს გადადგომის მიზეზი. სერბიელები მზათ არ იყვენ იარაღით გამკლავებოდენ ბულღარლებს.

,,ᲡᲐᲨᲐ!

ამასთანვე გიგზავნი 4,500 მ. ᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘ

ვლზე და მობოვვა, გამორიცხვით იმ 300 მანათისა, რომელიც ქონდა ეკლესიას შენახული ხაზინაში სანთლის გაყიდვისგან მოგებული. ადმინისტრაციის ძალით, შეიკრიბა 1.459 მანათი და 53 კაპ. ეს ფული ამ კრეფი შექონდათ ხაზინაში-დეპოზიტში ქუთაისის მაზრის სამმართველოს სახელზე, ჩემი შრომით და თავისნობით და არა თქვენი მ. სილოვან, როგორც დღესაც თქვენ ავრცელებთ თქვენს მრევლში ხმებს. ეს ფულები გადმორიცხული იყო ეკლესიის სახელზე ჩემივე თხოვნით და თავისნობით, აგრეთვე არჩეულ იყო ამა ეკლესიის შეკეთების კომიტეტი, სადაც, სხვათა შორის, ამირჩიეს მეც წევრათ.

მე, რასაკვირველია, ეკლესიის საქმეში ყველა დიდი პატიოსანი და უცოდველი მეგონა, რათგანც დღეს იქნება, თუ ხვალ ყველას სამუდამო ბინა იქ გვექნება. დღიდან კომიტეტის წევრათ ჩემი არჩევისა, იანვრის 1913 წლიდან, ვცდილობდი, რაც-კი შეიძლებოდა, ეკლესია გამეშვენიერებია, თუნდაც ჩემი საკუთარი რო ბევრი დამხარჯოდა. მარა ველარ ვახერხე, რის მიზეზი შემდეგი იყო: დღიდან ეკლესიის შეკეთებაზე საკითხის აძვრისა, მ. სილოვანმა წარმოადგინა იჯარადრათ თვისი კანდიტატი, ცნობილი თავდგირიძე და ამავე კომიტეტის წევრმა ბ. კონს. ჩარკვიანმა-კი-თვისი კანდიდატი დოლაბერიძე. აი, სწორეთ ამ კანდიტატების გამორჩევამ კარგა ხანს გასტანა, და ორივენი გვიჩქაროდენ და გვთხოვდენ მიგვენდო ეკლესიის შეკეთება, ან პირველის, ან მეორისთვის. რადა ბევრი გავაგძელო, ბოლოს, ორივე კანდიდატი შეერთდა და მოისურვა ერთად საქმის აღება, რისთვისაც ითხოვეს ,,უტორგოთ'' მიგვეცა მათთვის 3.000 მანათად, რაზედაც, როგორც მ. სილოვანი, აგრეთვე ბ. ჩარკვიანიც ითხოვდენ დანარჩენ წევრებისგანაც თანხმობას. ამას წინააღუდეგით კომიტეტის წევრები: მე და იობა შავგულიძე.

დიდი მითქმა--მოთქმის შემდეგ, 1913 წ. მაისის პირველ რიცხვებში, ჩემი რჩევით იყო მოწვეული რამდენიმე ოსტატი (პოდრიაჩიკები) და მათ რიცხვში თავდგირიძე და დოლაბერიძეც. მათ ვუჩვენეთ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ და ამასთანვე ვთხოვეთ წარმოედგინათ კომიტეტის სახელობაზე დაფარულ კონვერტებით ანგარიშის აღრიცხვა-სმეტა, თუ, ვინ, რა ფასებში აიღებდა ამ ეკლესიის შეკეთებას. შემდეგ-კი მიგვეცა ძისთვის, ვინც უფრო ხელ-საყრელ ფასებში გააკეთებდა. ექვსი ოსტატისგან მივიღეთ ხარჯთ-აღრიცხვა--სმეტა. მაისის ბოლო რიცხვებში, 1913 წ., შეეკრიბეთ კომიტეტის წევრები, განვიხილეთ სმეტა და აღმოჩდა, რო ოსტატ ს. ბაზაძეს ყველაზე ნაკლები სმეტა წარმოედგინა,--რომლითაც ამ ეკლესიის შეკეთებაში თხოულობდა 1.400 მანათს, თავდგირიძის სმეტა--კი 2.660 მანათს გვთხოვდა, თითქმის ორ ომდონს, რასაც ბ. ბაზაძე, კრებამ ამაოთ ჩაიარა, რათგანც მ. სილოვანი და ბ. ჩარკვიანი დაჯინებით გაიძახოდენ, რომ ამ ეკლესიის შეკეთება მიეცათ თავდგირიძისთვის, რომელსაც მალულ ამხანაგათ ყავდა დოლაბერიძე. კრება დაიშალა, დრო და ჟამი მიდიოდა. ერთი მეორის უთანხმობით ვერაფერს ვაკეთებდით. ამ გვარი კრება იყო დანიშნული სამჯერ. მარა ზემოხსენებული მიზეზის გამო, ყოველთვის უმნიშვნელოთ რჩებოდა. მე გადავწყვიტე, უკანასკნელი კრება კიდევ მომეხდინა და, თუ კიდევ ვერ შევთანხმდებოდით, კომიტეტის წევროებისთვის თავი დამენებებია. უკანასკნელი კრება მოხდა 10 ივნისს 1913წ, სადაც ყველა კომიტეტის წევრი დავესწარით. გავაცანი კომიტეტს ოსტატებიდან წარმოდგენილი ანგარიშები და დავძინე, რო ყველაზე ხელ-საყრელი ხარჯთ-აღრიცხვა არი ოსტატის ბაზაძისა, რომელიც თხოულობს 1.400 მანათს და ეს ბაზაძე, რათგანც კარგი გამოცოილი და ცნობილი ოსტატი იყო, ვარჩევდი მიგვეცა მისთვის ეკლესიის შეკეთება. ამასთანვე დავიწუნე თავდგირიძის სმეტა, რომელიც თხოულობდა ბაზაძეზე ორჯელ მეტ ფასს--2.660 მან. და დასამტკიცებლათ ამისა, კომიტეტს წარვუდგინე ინჯინრის აღერიცხა 34 მან. და 62 კაპ., თავდგირიძის სმეტა-კი ამისთვის გვთხოვდა 200 მან., ასე რო ბ. თავდგირიძე ჯერ მარტო ეკლესიის შეთეთრებაში 165 მანათს გვართმევდა ინჯინრის სმეტაზე ზედ მეტს. აგრეთვე დავძინე,

რო, როცა ინჯინრები აყენებენ სმეტას რაიმეს გასაკეთებლათ, იქ გამოყავთ გადიდებით ფასები, და „ტორგიც“ იმიტომ ინიშნება და, როცა ეს სმეტა „ტორგში“ ჩავარდება, „მეტორგეებმა“ ყოველთვის ინჯინრის სმეტაში აღრიცხულ ფასებს უნდა დაუკლონ და რომელიც უფრო ნაკლებ ფასს წარმოთქვამს, საქმეც იმას რჩება. თავდგირიძე-კი მარტო ეკლესიის შეთეთრებაში გვთხოვს ხუთჯერ მეტ ფასს, ვიდრე ინჯინერი. და ამ უკანასკნელის სმეტა, რომ არ გვქონოდა, თავდგირაძეს უნდა დავებრმავებიეთ და მის ჯუაზე უნდა წავეყვანეთ. თავდგირიძის ასეთი თავ-გასულობა მე მივაწერე მის უგნურობას და კომიტეტსაც ვთხოვე, ჩვენი ეკლესიის შეკეთება თავდგირიძისთვის არ მიეცათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გავაფრთხილე დანარჩენი წევრები, რომ ამაზე მე ვაცნობებდი ადგილობრივ ეპისკოპოზს.

მე აქვე გამოვიანგარიშე, რომ ის 2.200 მან., რომელიც ინჯინერის სმეტით დანიშნული იყო ეკლესიის, მისი გალავნის და საყარაულოს შესაკეთებლათ, და, რომელიც ამ ეკლესიის მრევლზეა გაწერილი და თითქმის შეკრებილი, თუ ამ ეკლესიის შეკეთებას მივცემდით ოსტატ ბაზაძეს 1.400 მანათად, დანარჩენ 800 მანათით დავადგამდით ამავე ეკლასიას გუმბათს. რაიცა ეხებოდა ეკლესიის გალავნის და საყარაულოს შეკეთების ფულის აკრეფას, ამასაც მე ვკისრულობდი, ისევ ჩვენი ეკლესიის მრევლთა შვილების შემოწირულებით, რომლებიც მსახურებენ და ცხოვრობენ რუსეთის სხვა და სხვა მხარეებში. მაგალითად, ამ საქმისთვის მკურნალმა იოსებ შავგულიძემ აღმითქვა 100 მან., მკურნალ დ. ფანცხავას მეუღლემ 80 მანათი და სხ.....

ამ ჩემ აზრს მოემხრენ კომიტეტის წევრები იობა შავგულიძე და ივლიანე თედორაძე. მ. შუბლაძემ და ჩარკვიანმა კიდევ მოგვცეს წინადადება შევკითხებოდითთავდგირიძეს, თუ იქნება ამ ფასებში, ე. ი. 1.400 მან. ისიც აიღებდა ამ ეკლესიის შეკეთებას. როგორც მე, აგრეთვე ჩემმა მომხრებმაც ეს წინადადება არ მივიღეთ. მ. შუბლაძე და ჩარკვიანმა შეხედეს, რო მათი აზრი აღარ გადიოდა და ისინიც ძალა უნებურათ დაეთანხმენ ჩემ წინადადებას. ყველას თანხმობით გავგზავნეთ ერთი ჩვენგანი ოსტატ ბაზაძის მოსაწვევათ, რომელიც გამოცხადდა თუ არა, წაუკითხეთ პირობა ეკლესიის შეკეთებაზე, სადაც ბაზაძის სმეტის ზევით ახლათ წამატებული იყო: შიგნით ეკლესიაში მგალობელთათვის ბალკონის გაკეთება, ორი ახალი ფანჯრის შემატება; სამი კარის თაღების გამოცვლა, სამრეკლოს იატაკის ცემენტით გაკეთება და სამრეკლოს რკინის მოაჯირით შემოვლა, რომლების გაკეთებასაც შევურიგდით ბაზაძეს 130 მან. სულ-კი ეკლესიის შეკეთებას შევურიგდით ბაზაძეს 1.400+130 1.530 მან. აქვე მოვთხოვეთ ბაზაძეს 200 მანათი ზალოგათ ბაზაძემ წარმოადგინა 200 მანათი. კომიტეტის წევრებიდან მე დამევალა ზალოგის შენახვა და კონტრაკტის გადათეთრება, რომელიც უნდა ყოფილიყო მზათ ხელ მოსაწერათ მეორე დღისთვის, 11 ივნისისთვის. აი, სწორეთ ამ საქმეს შევსწირეთ დრო 10 ივნისს 1913 წ. დილის 9 საათიდან ნაშვადღევის ოთხ საათამდი, და რათგანც საღილობის დროც მოვიდა და კომიტეტის კრება ჩემს სახლში გვქონდა, მეც ვთხოვე მათ და ბაზაძასაც მიეღოთ ჩემ სახლში პურ-მარილი, შეძლებისა და გვარათ. საღილს რო მოვრჩით და წასვლა დაპირეს, მ. შუბლაძე და ჩარკვიანი ცალკე ოთახში შევიდენ და რაღაცას ბაასობდენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, მეც მიმიწოდეს და მთხოვეს კონტრაკტის გადათეთრებაზე შრომა არ მიმეღო, რათგანც მათ სურთ, და მეც უნდა თანავუგრძნო მათ სურვილს, რომ ამ ეკლესიის შეკეთება მიგვეცა თავდგირიძისთვის და დოლაბერიძისთვის. აქაც რაღაც ჩამილაპარაკეს, რომლის გამოაშკარება აქ უადგილოთ მიმაჩნია და მთხოვეს მეორე დღეს, დილით, მენახა ისინი ბაღში (ბულვარში), სადაც თავდგირიძე თავის ამხანაგით მათთან იქნებოდა. ბაზაძეს-კი ისინი უარს ათქმევინებდენ იმით, რო რამდენიმე წლის გარანტიას მოთხოვდენ და ამით ბაზაძე ამ ეკლესიის შეკეთებას თავს დაანებებდა. მე უარი განვუცხადე მათ წინადადებას და მოკლეთ ვუთხარი, თუ ხალხის და ეკლესიის ღალატში არ გაერევი-თქო. იმათ უკანასკნელათ მთხოვეს მეორე დღეს მენახა ისინი ბაღში და წავიდენ.

ელისე შავგულიძე.

(დასასრული იქნება).

რედაკტორ გამომცემელი ს. მუ̂ედლიძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზ. სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(ნახატებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ. Газ. „Сахалхо Пурцели“. Поч. ящ. № 190.

თფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія,

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.- ქართული თეატრი. --რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შევსებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Въ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.